ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 6 აპრილი, 2020 №80 (8344) ფასი: 60 თეთრი

ლევან ჩაჩუა: „ქართულ ოცნებას“ ნაციონალების შიში აქვს“

გვ.4

„ხელისუფლებას ყველასთვის უნდა გადაეხადა 200 კილოვატსაათის საფასური“

„ოცნების“ რეიტინგი განულდება, თუ ეკონომიკურ პრობლემებს ვერ გადაწყვეტს“

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „ბიზნესი აუცილებლად უნდა ამუშავდეს“

„20 ივნისის ღამეს პოლიციელები მოქალაქეებზე ბრძანების გარეშე ნადირობდნენ“

გვ.2

უჩა ნანუაშვილი: „სიტუაციას არა გახარია, არამედ სხვა უწყებები მართავდნენ. ეს ალბათ ხელისუფლების შეცვლის მერე გაირკვევა“

გვ.2

გიორგი ბარამიძე: „გახარიას განცხადება უტიფარი ტყუილი და უნამუსობაა“

რატომ გადაიზარდა ქართველების დაბრუნების საკითხი ორპარტიულ პოლიტიკურ კინკლაობაში?

გვ.3

ნიკოლოზ მჟავანაძე: „კახა ოქრიაშვილი რომ ისევ მიშასთან იყოს, არ გამიკვირდება“

გვ.5

ოკუპირებულ აფხაზეთში მოვლენების პესიმისტურ სცენარსაც განიხილავენ

ბია ჟორჟოლიანი: „ვისაც მაღალი ხელფასი აქვს, მთავრობამ მაღალი გადასახადები უნდა დაუწესოს“

გვ.4

პოლიციამ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 238 ფაქტი გამოავლინა

გვ.5

ISSN 1987-9385

5 ოზურგეთის საკათედრო ტაძარი გაქურდეს

2 შიდა ქართლში ყველა აგრარული ბაზარი დაიხურა

5 პროკურატურამ ბრალდებულებისთვის სატელეფონო ზარების განხორციელების შესაძლებლობა დაუშვა

6 ლუკაშენკო: „წამყვანი ქვეყნები კორონავირუსის ფსიქოზით მსოფლიოს გადაკეთებას ცდილობენ“

რატომ გადაიზარდა ქართველების დაბრუნების საკითხი ორპარტიულ პოლიტიკურ კინკლაობაში?

გიორგი ბარამიძე: „გახარიას განცხადება უტიფარი ტყუილი და უნამუსობაა“

იაგო ნაცვლიშვილი

ნაციონალური მოძრაობა საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში დაბრუნების საკითხზე ხელისუფლებას ახალ გეგმას სთავაზობს. პარტია მზად არის, ხელისუფლებას ფული გადაურიცხოს, ოღონდ იმ პირობით, თუ ხელისუფლება უკრაინულ ავიაკომპანიასთან ხელშეკრულებას გააფორმებს. ხელისუფლების პასუხში მკაფიოობა ისევ არ იგრძნობა. რატომ გადაიზარდა ერთი შეხედვით კეთილი საქმის კეთება ისევ ორპარტიულ პოლიტიკურ კინკლაობაში, ჰქონდათ თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლებთან საუბარი და რა პასუხი აქვს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას განცხადებებზე? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე საუბრობს.

– ავიარეისების თემა რატომღაც პოლიტიკური კინკლაობის თემად იქცა, მაშინ როდესაც, წესით, უნდა ყოფილიყო კეთილი საქმე. თქვენც ახალი გეგმა შესთავაზეთ ხელისუფლებას, რომ თანახმა ხართ გადაურიცხოთ ხელისუფლებას ფული, ოღონდ თუ გააფორმებენ ხელშეკრულებას უკრაინულ ავიაკომპანიასთან. რატომ არ მოდიან შეთავაზებაზე თუ მოდიან და ჩვენ არ ვიცით?

– სრულად ვეთანხმები თქვენი კითხვის შინაარსს. ეს იყო კარგი საქმე და ამის ნაცვლად ეს საკითხი აქციეს საკინკლაო თემად. თუმცა, ყველაფერი ძალიან მარტივად შეგვეძლო მოგვეგვარებინა, გვეთანამშრომლა კარგა ხნის წინ, მაშინვე, როგორც კი ეს შევთავაზეთ. გაუგებარია მათი რეაგირება. მე შემიძლია ათასი უკმეხი სიტყვა და ეპითეტი გამოვიყენო ამ ხელისუფლების მიმართ, მაგრამ არ გვინდა ამ რეჟიმში და ამ ვითარებაში ყოფნა და გვინდა, რომ საქმე გამოვიდეს. პოლიტიკის დროც მოვა.

– გახარიასთან ან სხვა მინისტრებთან პირდაპირი კომუნიკაციის მცდელობა არ გქონია, რომ დაგერეკათ და პირდაპირ გაგეკეთებინათ შეთავაზება?

– დიახ. ითქვა ამის თაობაზე. გრიგოლ ვაშაძემაც თქვა, რომ იყო კომუნიკაციის მცდელობა. ჩვენი პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა კობა ნაყოფიამ პირადად დაურეკა ეკონომიკის მინისტრს და ესაუბრა ნათია თურნავას, რომელიც დაპირდა ჯერ კიდევ 3 აპრილს, რომ გადმოგირეკავთ და გეტყვით თქვენს შეთავაზებასთან დაკავშირებით ჩვენს პასუხსო, დღემდე ველოდებით მათ ზარს.

ამასთან, რომან გოცირიძეს ჰქონდა მცდელობა არჩილ თალაკვაძესთან დაკავშირების და, რაც მთავარია, თინა ბოკუჩავამ ნაციონალური მოძრაობის სახელით ოფიციალური წერილიც მიიტანა კანცელარიაში და სია იმ ადამიანებისა, ვინც ჩვენ დაგვიკავშირდა და გვთხოვს ჩამოყვანას. ჩვენგან იყო თხოვნა, რომ მზად ვართ, რომ დღეიდანვე შევხვდეთ იმ ადამიანებს, ვისაც მთავრობა გამოყოფს, საორგანიზაციო ჯგუფს ამ სამაშველო ოპერაციის განსახორციელებლად, რათა ყველა ის ნაბიჯი განვიხილოთ ერთად, რომელიც გადასადგმელია ჩვენი მხრიდან და მთავრობის მხრიდან. რა უნდა გააკეთოს თითოეულმა უწყებამ – საგარეო უწყებამ, ეკონომიკის სამინისტრომ, სააავიაციო დეპარტამენტმა... შემდეგ, აქ როდესაც ჩამოვა ის ხალხი, კარანტინში ხომ არის განსათავსებელი და მერე თუ რამეში ვართ საჭირო, რა შეგვიძლია გავაკეთოთ – სასტუმროებიდან დაწყებული, ტრანსპორტირებით გაგრძელებული და ა. შ. იმისათვის, რომ ჩამოყვანის შემდეგ ვინც სამკურნალოა ვუმკურნალოთ და სხვებს არ გადასდოს დაავადება.

მოგეხსენებათ, ყველა ეს საკითხი კომპლექსურად გასაკეთებელი თემაა.

ასევე წარმოვადგინეთ დოკუმენტაცია, რომელიც გავაკეთებინეთ ავიაკომპანიას, რა პირობები აქვთ მათ, რათა ელემენტარულად დაცული იყოს მგზავრთა გადმოყვანისას უსაფრთხოების წესები, რათა კარგი საქმის ნაცვლად ცუდი არ გამოვიდეს. შევადგინეთ გრაფიკები, მაგრამ ამას სჭირდება მთავრობასთან კონკრეტული თანამშრომლობა.

ამნაირი უტიფრობა ვის გაუგია, როდესაც პრემიერი საგანგებო მდგომარეობის დროს გამოდის და ლაპარაკობს, რომ თუკი გინდათ ჩამოყვანა, ვინ გიშლით ხელს, ჩამოიყვანეთო. ეს არის უნამუსო ტყუილი. თვითონ მოაწერა ხელი იმ შეზღუდვებს და აკრძალვებს, რისი მოხსნაც მხოლოდ მთავრობას შეუძლია.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„20 ივნისის ღამეს პოლიციელები მოქალაქეებზე ბრძანების გარეშე ნადირობდნენ“

უჩა ნანუაშვილი: „სიტუაციას არა გახარია, არამედ სხვა უწყებები მართავდნენ. ეს ალბათ ხელისუფლების შეცვლის მერე გაირკვევა“

სახალხო დამცველმა შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც 20-21 ივნისის მოვლენებზეც არის საუბარი. კერძოდ, რაციის ჩანაწერებით ირკვევა, რომ აქციის დარბევისა და რეზინის ტყვიების გამოყენების ბრძანება არც მაშინდელ შს მინისტრს (ახლანდელ პრემიერს) გიორგი გახარიას და არც მის მოადგილეებს გაუცია. თუმცა, გახარია ისევ თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას. რა სურათი გამოიკვეთა სახალხო დამცველის დასკვნით, უნდა დაინტერესებულიყო თუ არა ამ გარემოებებით გამოძიება და მიიჩნევს თუ არა, რომ ამ საქმით გამოძიება არჩევნების შემდეგ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში ისევ დაინტერესდება? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ყოფილი სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

იაგო ნაცვლიშვილი

– როგორია თქვენი შეფასება სახალხო დამცველის ანგარიშის იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება 20 ივნისის აქციის დაშლას? ანგარიშში საუბარია, რომ გახარიას არ გაუცია ბრძანება, თუმცა მეორე მხრივ გახარია ამბობს, რომ ის ისევ საკუთარ თავზე იღებს ამ მძიმე ფაქტს. თქვენ რა გითხრათ ამ ყველაფერმა?

– ფაქტია, რომ ჩვენ ახალი გარემოებები ვნახეთ ანგარიშში. საუბარია იმაზე, რომ რეალურად 20 ივნისის მოვლენები დღემდე არ არის გამოძიებული ბოლომდე. აქამდეც არსებობდა ბევრი კითხვის ნიშანი, ხოლო ანგარიში კიდევ უფრო უმატებს კითხვის ნიშნებს. ანუ, ის, რომ რეალურად ბრძანება არ ყოფილა გაცემული მინისტრისა და მისი მოადგილეების მხრიდან და ის, რომ მათი ჩართულობა არ იკვეთება ამ მოვლენებში, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ რაღაც არასწორი ხდება ჩვენს ქვეყანაში.

ეს ნიშნავს იმას, რომ ბრძანება არ არსებობს. ამიტომაც გამოძიებისთვის მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესდეს მთლიანად იმ სამართლებრივი ანალიზით, რასაც ადგილი ჰქონდა გასული წლის 20-21 ივნისს და ძალიან ბევრ საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს აღნიშნული ანგარიში. მათ შორის ის, რომ აუცილებელია დადგინდეს თუნდაც ის, რატომ არ ნიშნავს ექსპერტიზას ჩანაწერებთან დაკავშირებით, რომელიც არსებობს შს-თან დაკავშირებით და მეტი ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე.

ზოგადად გამოძიების კუთხით არის ძალიან ბევრი ხარვეზი და ეს ძალიან კარგად გამოჩნდა ამ ანგარიშშიც. განსაკუთრებით იგივე რეზინის ტყვიებთან დაკავშირებით არის ძალიან ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა. სავარაუდოდ, გამოძიება მალავს იმ ჩანაწერებს, რომლებიც ეხება აღნიშნულ ბრძანებას, ან კიდევ ამბობს, რომ რეალურად ნადირობდნენ პოლიციელები საკუთარ მოქალაქეებზე ბრძანების გარეშე. ანუ რეზინის ტყვიების გამოყენება იყო უკანონო.

ამ შემთხვევაში მესამე შესაძლებლობა არ რჩება, რადგანაც სწორედ ამ ნაწილში ჩანს ყველაზე მეტად, რომ შს მინისტრი, მოადგილეები და სხვა პირები, პირიქით, ეწინააღმდეგებოდნენ რეზინის ტყვიების გამოყენებას. ეს რაციების ჩანაწერებიდან ჩანს, როგორც ეს ანგარიშშია მოცემული.

– გამოჩნდა, რომ გახარიას და მთლიანად შსს-ს ეს მძიმე ფაქტი ააღებინა „ქართულმა ოცნებამ“?

– ფაქტია, რომ მან საკუთარ თავზე აიღო ის, რაზეც რეალურად მას არ გაუცია ბრძანება. აქაც პასუხისმგებლობის საკითხია. შეიძლება სხვა კუთხით, მაგრამ ესეც მნიშვნელოვანია, რატომ აიღო მან პასუხისმგებლობა იმ სავარაუდო დარღვევებზე, რომლებიც მას არ ჩაუდენია.

მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც იკვეთება, არის ის, რომ რეალურად შს მინისტრი არ მართავდა სიტუაციას და ამას მართავდნენ სხვა უწყებები და ეს გამოჩნდა თუნდაც იმით, თუ ვინ ვის ექვემდებარებოდა. აღრევაა ხელისუფლებაში და კომპეტენციის საკითხები, ვინ ვის ემორჩილებოდა, სწორედ ამ გამოძიების დროს ჩნდება და ჩანს, რომ რეალურად სხვა უწყება იყო ჩართული.

– ვინ იყო ეს უწყება, ალბათ ესეც უნდა გამოკვეთოს გამოძიებამ, მაგრამ თქვენ გაქვთ იმის იმედი, რომ „ოცნების“ ხელისუფლების დროს ეს გაირკვევა თუ უნდა დაველოდოთ არჩევნების შედეგებს და ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში განახლდება გამოძიება?

– იცით, რა? ერთი წელი გამოძიებისთვის საკმარისია და მალე ერთი წელი გახდება, რაც ამ მოვლენებიდან გავიდა. დრო საკმარისია გასული და შესაძლებელი იყო გარემოებების გამოკვეთა. თუკი სახალხო დამცველის ანგარიშშია ასახული, მე ვფიქრობ, რომ გამოძიებას მეტი ინფორმაცია გააჩნია.

აქ საუბარია პოლიტიკურ ნებაზე. რეალურად ეს პოლიტიკური ნება არ არსებობს, რათა ამ საქმის გამოძიება მოხდეს. ალბათ ამ საქმის გამოძიება მოხდება შემდეგ ჯერზე, როგორც სამწუხაროდ ხდება ხოლმე, ანუ პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ხდება მსგავსი გამოძიება. მეც მიმაჩნია, რომ ამ საქმის გამოძიება შესაბამისი ცვლილებების შემდეგ მოხდება.

– გახარიას პასუხისმგებლობის საკითხზეც ისაუბრეთ, როცა აღნიშნეთ, რომ დანაშაულია ისიც, როცა არასწორად იღებს პასუხისმგებლობას. როცა უკან არ იხევს და ისევ აცხადებს, რომ პასუხისმგებელია, კიდევ უფრო ხომ არ შედის დანაშაულის მორევში?

– მესმის, რომ მას არ სურს სიხისტე და იცავს იმ პოზიციას, რაც თავის თავზე აიღო, მაგრამ ამ მოვლენებმა, მათ შორის ამ ანგარიშმაც აჩვენა, რომ რეალურად 20-21 ივნისის მოვლენების დროს სხვა გარემოებებიც იყო. მე ვფიქრობ, რომ მისთვისაც კარგი იქნება, თუ ის ისაუბრებს მკაფიოდ.

ეს გამოჩნდა კიდეც სახალხო დამცველის ანგარიშიდანაც, რომ შსს რეზინის ტყვიების წინააღმდეგი იყო და მერე რა მოხდა? ამ კითხვებს ადრე თუ გვიან პასუხები აუცილებლად უნდა გაეცეს. დარწმუნებული ვარ, რომ გახარიას პოზიცია რაღაც პერიოდში აუცილებლად შეიცვლება თუ ამჟამად არ არის შეცვლილი.

რეალურად ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ სხვა სტრუქტურების და სხვა თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა ჩანს და სწორედ ეს მიმართულება უნდა იყოს გამოძიებული.

საქართველოში კორონავირუსით მეორე პაციენტი გარდაიცვალა

თბილისის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში კორონავირუსის დიაგნოზით 81 წლის ქალი გარდაიცვალა.

ეს კორონავირუსით გარდაცვალების უკვე მეორე შემთხვევაა.

თსსუ-ს პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორის ლევან რატიანის განცხადებით, კორონავირუსით გარდაცვლილი 81 წლის ქალის მდგომარეობა კლინიკაში შეყვანისთანავე იყო კრიტიკული.

– ქალბატონის, რომელიც გადმოყვანილია თბილისის ზღვის ჰოსპიტლიდან, მდგომარეობა მიმღებშივე შეფასდა კრიტიკულად, სიცოცხლესთან შეუთავსებლად. ვინაიდან, შემოყვანისთანავე მჟავეტუტოვან წონასწორობაში იყო 7 და ნული, რაც იმას მიუთითებდა, რომ პაციენტის მდგომარეობა იყო კრიტიკული, ტერმინალური.

პაციენტთან გამოვლინდა ორმხრივი მწვავე პნევმონია, მწვავე რესპირატორული დისტრესი, მწვავე სეფსისი, კლინიკურად გადატანილი იყო მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, მოციმციმე არითმია, გულის ქრონიკული უკმარისობა არტერიული ჰიპერტენზიით.

ჩატარებული კლინიკური კვლევებით დაისვა აღნიშნული დიაგნოზი. პაციენტის მკურნალობის გაგრძელების მიზნით, გადაყვანილ იქნა კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტში. ასეთ პაციენტებთან არსებობს სიმპტომური მკურნალობა და არაპათოგენეზური მკურნალობა მიმდინარეობდა პროტოკოლების და გაიდლაინების მიხედვით და, სამწუხაროდ, დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი, – განაცხადა ლევან რატიანმა.

მისივე თქმით, გარდაცვლილის ასაკი გართულებების მაღალ რისკს მიეკუთვნება და მისი მდგომარეობის დამძიმება ნებისმიერ ვირუსს შეეძლო გამოეწვია.

– აღნიშნული ასაკი, პლუს აღნიშნული პათოლოგია მიეკუთვნება მაღალი გართულებების რისკს და პოლიორგანულ უკმარისობას. შესაძლებელია, ნებისმიერ ვირუსს გამოეწვია ამ ქალბატონთან მდგომარეობის დამძიმება და ლეტალური გამოსავალი, – განაცხადა ლევან რატიანმა.

შიდა ქართლში ყველა აგრარული ბაზარი დაიხურა

4 აპრილს შიდა ქართლის ტერიტორიაზე მოქმედი აგრარული ბაზრები დაიხურა. საგანგებო შტაბის აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მოვაჭრეებს დილით აცნობეს. რეგიონის გუბერნატორის, გიგი ხოჯევანიშვილის თქმით, ბაზრების დროებითი დახურვა მუნიციპალიტეტებს შორის მოსახლეობის გადაადგილებას შეამცირებს.

– გვქონდა შტაბის შეკრება, ვიმსჯელეთ ყველა იმ საკითხზე, რომელიც რეგიონის ჭრილში მნიშვნელოვანი და აქტუალურია. მაღალი რისკების გათვალისწინებით, შტაბმა მიიღო გადაწყვეტილება აგრარული ბაზრების მუშაობის დროებით შეწყვეტასთან დაკავშირებით.

ამ ნაბიჯით კიდევ უფრო შემცირდება მუნიციპალიტეტებს შიგნით მოსახლეობის გადაადგილება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კორონავირუსის გავრცელების პრევენციას, – განაცხადა გიგი ხოჯევანიშვილმა.

რეგიონის 4 მუნიციპალიტეტში 6 აგრარული ბაზარი ფუნქციონირებდა, მათ შორის 2 – გორში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნების“ რეიტინგი განულდება, თუ ეკონომიკურ პრობლემებს ვერ გადაწყვეტს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ბიზნესი აუცილებლად უნდა ამუშავდეს“



ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ოპოზიციამ თავის დროზე განაცხადა, რომ ის წყვეტს ოპონირების რეჟიმს. თუმცა, უკვე გაისმა კრიტიკა თუნდაც მაღალ საჯარიმო სანქციებზე. შეიძლება ხელისუფლებამ უკან დაიხიოს ამ მიმართულებით?

– ოპოზიციამ ძალიან სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც თქვა, ოპონირების რეჟიმიდან თანამშრომლობის რეჟიმზე გადავდივართო. ამ გადაწყვეტილებამ საკმაოდ კარგი კლიმატი შექმნა, მაგრამ ახლა გადავედით ისეთ სიტუაციაში, როდესაც ხელისუფლება უფრო ამკაცრებს მიდგომას.

შინაპატიმრობა სასჯელის ერთ-ერთი ზომაა. საზოგადოებამ ეს თავისი შეგნებით გადაწყვიტა, მაგრამ ადამიანებში ეს მაინც დატოვებს თავის კვალს, რადგან ეს არ არის მარტივი მდგომარეობა. ეს რთული მდგომარეობაა. საზოგადოებაში უკვე ძალიან მძიმედ მუშაობს მაღალი ჯარიმები.

ბევრი აუხსნელი და არალოგიკური სანქციაა. მაგალითად, ოჯახი, რომელიც დღე და ღამე ერთად არის, რატომ არ შეიძლება საკუთარი ავტომანქანით გადაადგილდეს?! რა თქმა უნდა, აქ, კითხვა ჩნდება. დაჯარიმდნენ ადამიანები მაშინ, როდესაც სამსახური დაკარგეს. სწორედ ეს ფონია გასათვალისწინებელი. თითქოს ეს დეტალებია, მაგრამ ისეთი დეტალებია, რომლებზეც საზოგადოებას უკვე აქვს რეაქცია, რომელიც მტკივნეულია.

ყველა ნიუანსს შეიძლება ხელისუფლება ვერ ჩაწვდეს, ვერ გაითვალისწინოს, მაგრამ როგორც კი საზოგადოება გრძნობს ამ ნიუანსს, იმ წუთში უნდა მოჰყვეს ამას ხელისუფლების მხრიდან რეაგირება.

– ასეთ სანქციებს უკუეფექტი ექნება?

– რა თქმა უნდა! ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელსაც ხელისუფლება მიიღებს, ლოგიკური დასაბუთება უნდა ჰქონდეს. კრიტიკული ვითარებაა, კრიზისია, შეიძლება ბევრი რამ ვერ გაითვალისწინო, მაგრამ როდესაც საზოგადოებას აქვს რეაქცია, ის ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას ცუდი შედეგები მოჰყვება. თავშეკავების მიჯნის შემდეგ ემოციები შეიძლება უმართავი გახდეს, ამაზე უნდა დაფიქრდეს ხელისუფლება.

გასაგებია, რომ ახლა გახარიას თავის მოსაფხანი დროც კი არ აქვს. შეიძლება 2 საათით დაძინების საშუალებაც კი არ აქვს, მაგრამ საზოგადოების რეაქციის უპასუხოდ დატოვება ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს.

– სოციალურ პაკეტთან დაკავშირებით, რომელიც გახმოვანდა, თქვენ რა შენიშვნები გაქვთ?

– უპირველეს ყოვლისა, ბიზნესზე უნდა ვთქვა: აუცილებელია ნელ-ნელა, ეპიდემიის საწინააღმდეგო სტანდარტების დაცვით, ბიზნესი ამუშავდეს, რათა სულ მთლად არ ჩამოგვშალოს თავზე ეკონომიკა. კიდევ ერთი, გაუგებარია, რატომ აიკრძალა სავალუტო ჯიხურების მუშაობა! თუ საუბარია იმაზე, რომ ინფიცირების წყარო ფული გახდა, ხომ შეიძლებოდა ამ ფულის ამოღება და გამოცვლა. რა პრობლემაა ეს?! ამ მიმართულებით კითხვები არის.

რაც შეეხება სოციალურ პაკეტს, სამი თვით ადამიანებს მოეხსნებათ კომუნალური გადასახადები და ეს ძალიან კარგია, მაგრამ ვშიშობ, რომ ეს არ იქნება საკმარისი.

– საუბარია „ქართული ოცნების“ რეიტინგის ზრდაზე. ხალხში დღეს ხელისუფლება უფრო პოპულარულია, ვიდრე ეს წინა პერიოდში იყო.

– დღეს, რა თქმა უნდა, ხელისუფლება უფრო პოპულარულია. ვერ ვიტყვი, რომ ამ ვითარებაში ხელისუფლება ცუდად მოქმედებს. სრულიად ბუნებრივია, რომ ხელისუფლების რეიტინგი გაიზარდა და უნდა გაზრდილიყო კიდეც, სხვაგვარად წარმოუდგენელია.

ასეთ კრიზისულ ვითარებაში ადამიანებს მხოლოდ ხელისუფლების იმედი აქვთ. ეს ასეა ნებისმიერ ქვეყანაში. ამას ხელისუფლებაც გრძნობს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია, რა იქნება შემდეგ. გარდაუვლად დადგება სოციალური, ეკონომიკური პრობლემები. ამიტომ ვამბობ, რომ აქედანვე მაქსიმალურად უნდა დაიჭიროს თადარიგი ხელისუფლებამ.

როდესაც ეს პროცესი დასრულდება და ადამიანები სულ სხვა პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან, როდესაც ისინი უმუშევრად დარჩებიან, როდესაც საკვების პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან, ამ პრობლემებმა შეიძლება ნულამდე დაიყვანოს. ამაზეც უნდა იფიქრონ.

მერწმუნეთ, მხოლოდ სოციალური პაკეტი, დენისა და გაზის ფულის სამი თვით ჩამოჭრა არ იქნება საკმარისი. ბევრი თემაა, რომელიც უკვე ურტყამს ხელისუფლებას. ნელ-ნელა ამ თემების გამოყენებას დაიწყებს ოპოზიცია.

შეიძლება ოპოზიცას ძალიანაც არ უნდოდა ჩუმად ყოფილიყო, მაგრამ ხელისუფლების ქმედებებს საზოგადოების მხარდაჭერა ჰქონდა, რამაც ოპოზიცია აიძულა, ჩუმად ყოფილიყო, მაგრამ როგორც კი ხელისუფლება შეცდომების დაშვებას დაიწყებს, ოპოზიცია იმ წუთში გააქტიურდება.

„კახა ოქრიაშვილი რომ ისევ მიშასთან იყოს, არ გამიკვირდება“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „აფთიაქებმა პირბადეები სააკაშვილის ბიბლიოთეკას გადასცეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველთა ასოციაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე პასუხობს.

– ბატონო ნიკოლოზ, სოციალურ ქსელში თქვენსა და მიხეილ სააკაშვილის დაპირისპირებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რა გახდა ამ დაპირისპირების მიზეზი?

– თქვენთვისაც კარგადაა ცნობილი თუ როგორი დეფიციტია პირბადეების. გულით რომ გინდოდეს, არც ერთ აფთიაქში პირბადე არ იყიდება.

სწორედ აქედან გამომდინარე ვთქვი, როგორ მოხდა, რომ არც ერთ აფთიაქში პირბადე არ არის და ყველა მათგანი აღმოჩნდა სააკაშვილის ბიბლიოთეკაში. 5 ათასი კაცი იყო შეკრებილი მგონი ბიბლიოთეკაში, შემდეგ ზუგდიდში რაც მოხდა, ვნახეთ. საიდან აღმოჩნდა მათ ხელში ეს პირბადეები? აი, ეს ვიკითხე.

სამედიცინო პირბადე არ იკერება სამკერვალოებში. ის არის სპეციალიზებული მასალიდან დამზადებული და იყიდება აფთიაქში. ამიტომ ერთადერთი ვარიანტია, ამოიღეს აფთიაქების საწყობებიდან და გადასცეს სააკაშვილის ბიბლიოთეკას. თავდაპირველად სააკაშვილი არც კი მიხსენებია, ფარმაცევტული კომპანიების ხელმძღვანელები დავადანაშაულე, რომ თქვენ პრეზიდენტი ისევ სააკაშვილი გგონიათ და მას მიუტანეთ პირბადეები-მეთქი.

– ამ განცხადებებმა გააღიზიანა მიხეილ სააკაშვილი?

– როგორც ჩანს. ისედაც ბოლო პერიოდია, ნაცსექტა აქტიურად მიტევს. მერე მიხეილ სააკაშვილის ფეისბუქპოსტიც მაჩვენეს, სადაც მლანძღავს საკუთარ ფეისბუქ გვერდზე. ეს ქოციო, ჩემზე წერს. მე რომ ვინმე ქოცობას დამაბრალებს, ჩემზე მეტი კრიტიკოსი ამ მთავრობას თუ ჰყავს, არ ვიცი. კიდევ ჩამოვიტან ამ პირბადეებსო. ჩამოიტანოს, მაგას რა ჯობია, თუკი ვინმე სიკეთეს გააკეთებს.

ნაცები ჭკუას ვერასოდეს ისწავლიან, ე.ი. თუ ნაცებს ეწინააღმდეგები, აუცილებლად უნდა

იყო „ოცნების“ მხარდამჭერი. სააკაშვილს ვეტყოდი, რომ თუ უნდა, პირადად თვითონ ჩამობრძანდეს და თვითონ დაარიგოს პირბადეები და სამედიცინო ინვენტარი. მათი განცხადებები სწორედ მათ დამოკიდებულებაზე მეტყველებს. ჭკუა ვისწავლეთო, არაფერი ჭკუა არ უსწავლიათ.

ღმერთმა დაგვიფაროს და ეგ რომ ხელისუფლებაში დაბრუნდეს, ალბათ მათი დასახვრეტების სიაში წამყვან პოზიციას დავიკავებ.

ეს ჩვენი ფარმაცევტები ძალიან ახლოს იყვნენ მიშა სააკაშვილთან. ოქრიაშვილი, ეს ყველა მთავრობას მორგებული კაცი, რატომ უნდა გამიკვირდეს, რომ ისევ სააკაშვილთან იყოს ალიანსში. იგივე კურტანიძე და გინდა სხვები. ვიცით მათი პოლიტიკური წარსული და შეხედულებები.

– რას ამბობთ, რომ წინასწარ ამოიღეს გაყიდვიდან პირბადეები?

– როგორც კი ეს ამბავი დაიწო, ალბათ ამოიღეს საწყობებიდან და მიშას მიუტანეს. მე ჩემი პირადი აზრი გამოვთქვი. მაშინ საიდან აღმოჩნდა ამდენი პირბადე მიშას ბიბლიოთეკაში. ასეა და სხვანაირად როგორ ვთქვა?

იგივე ემიგრანტებთან დაკავშირებით რომ ატეხა ერთი ამბავი, არ მაძლევენ ჩამოყვანის საშუალებასო. თუ უნდა, ჩამოიყვანოს, ვინ უშლის. ხომ გამოვიდა გახარია და განაცხადა, მოაგვაროს ეს საკითხი შესაბამის უწყებებთან და ჩამოიყვანონ, ჩვენ უარს არ ვეუბნებითო. ახლა დაიწყო, დოკუმენტი მჭირდება და ასე შემდეგ.

არავის ჩამომყვანი ეგ არ არის, მაგრამ ვიღაცას ხომ უნდა გადააბრალოს?! ხელს მიშლიანო. არავინ არ უშლის ხელს, გააკეთოს ქვეყნის სასიკეთო საქმე. როგორ შეიძლება, რომ მაგაზე წინააღმდეგი წავიდეს ვინმე?! დოკუმენტსაც მისცემენ. ძალიან მაინტერესებს, საიდან აქვს ამდენი ფული, ხომ იძახის, გაღლეტილი პრეზიდენტი ვარ და უფულოდ წავედიო. იცით, რა ჯდება ამდენი ადამიანის ჩამოყვანა?!

– მოვიძიე სახსრები, ბიზნესმენები მეხმარებიანო. არ უთქვამს, რომ საკუთარი სახსრებით ჩამოჰყავს.

– რომელი ბიზნესმენები, ძალიან საინტერესოა. კობა ნაყოფია ეხმარება? ერთი და ორი ათასი კი არ ჯდება ეს მგზავრობა, მილიონები დაჯდება. არავის ჩამომყვანი ეგ არ არის.

ომი რომ არის, მაშინ ყველა ერთიანი უნდა იყოს, ჩასაფრებულის პოზიცია არ უნდა გეჭიროს. ამათი განცხადებები კი მუდამ კრიტიკასა და მავნებლობაზეა დამყარებული. ტესტები, ტესტებიო, აიკვიატეს.

– ტესტების შემოტანაც ერთ-ერთი პრობლემა იყო.

– უთხრეს, რომ არ არსებობს ჯერ ისეთი ტესტები, რომლებიც სრულფასოვან შედეგს დადებს. ეს ტესტები დებს 30%-იან შედეგს და ეს არ არის შედეგი, დიდია ცდომილება. ამას აცხადებენ სპეციალისტები და მე მჯერა ამ ხალხის. ესენი კი მაინც ტესტებს გაყვირიან.

მე ვურჩევდი ნაცებს, რომ ორსულობის ტესტები შემოიტანონ დიდი რაოდენობით, რადგან, როგორც ჩანს, სააკაშვილისგან არიან პოლიტიკურად დაორსულებულები. რასაც მიშა იძახის, იგივეს იმეორებენ ესენიც გაფუჭებული პატეფონივით. არც თავისი იციან და არც სხვისას იჯერებენ.

ჭიაბერაშვილი გამოჰყავთ ექსპერტად, თითქოს რამე გაეგებოდეს. ეგენი არ იყვნენ, რომ გამოვიდნენ და გვითხრეს, ქათმის გრიპის დროს ნახევარი საქართველო დაიხოცებაო?! ესენი რომ ყოფილიყვნენ დღეს ხელისუფლებაში, წარმოდგენაც არ მინდა, რა მოხდებოდა. კატასტროფული მდგომარეობა გვექნებოდა.

ნაცმოძრაობა ჭკუას ვერასდროს ისწავლის. ისევ ისე აგრძელებენ ქვეყნის მტრობას. ან ეკლესიასთან რა დამოკიდებულება აქვთ, ხომ ყველა ხედავს?!

– ეკლესიასთან მიმართებაში არც ეკლესიის და ხელისუფლების პოზიციები ემთხვევა.

– ხელისუფლების განცხადებები საკმაოდ ზომიერია. თუმცა ამ ოპოზიციური არხებიდან რა ნიაღვარი მოდის ეკლესიის ლანძღვა-გინების, ყველა ვხედავთ.

ვიყავი წირვაზე. ტაძრებში დისტანცირება ყველაზე კარგად არის დაცული! ნეტა ეგეთი დისტანცირება ბაზარსა და მარკეტებში იყოს. მარკეტში რომ შევდივარ, ხალხი ერთმანეთს არის მიტყუპებული, არანაირი დისტანცია არ არსებობს. შეიძლება ყველაფერზე ამხელა აჟიოტაჟის ატეხა?! ადამიანს სულიერი საზრდო ხომ არ უნდა წაართვან?!

– ზიარების წესზეა ყველაზე დიდი კრიტიკა.

– შეურაცხმყოფელია მათი განცხადებები. რომან გოცირიძე რომ გამოდის და აცხადებს, თუკი ოლიმპიური ცეცხლი გადაიდო, არ შეიძლება ღვთიური ცეცხლის გადმოსვლაც გადაიდოსო?! ასეთ ადამიანს საერთოდ რა უნდა ელაპარაკო?! ასეთი რამე გაგიგიათ საერთოდ, რომ ღვთიური ცეცხლის გადმოსვლა გადაიდოს?!

სანამ კორონავირუსი გავრცელდებოდა, ამ ზიარების კოვზით შიდსიანი, ტუბერკულოზიანი, ც ჰეპატიტიანი, ყველა არ იღებდა ზიარებას? მაშინ აქამდე გაწყვეტილები და დაავადებულები უნდა ვიყოთ ყველანი! ათას ავადმყოფს აზიარებენ და მერე ამ კოვზით თავად მამაოები იღებენ ზიარებას, მაშინ დახოცილები უნდა იყვნენ მამაოები!

არც სამედიცინო სფერო არ იციან, არც საეკლესიო ცხოვრება და აკეთებენ უაზრო განცხადებებს. ამ სიტუაციაში ასეთი დარტყმები არის ქვეყნის მტრობა!

ერთსაც ვიტყვი – სანამ ეს მარგინალური ძალა იქნება პოლიტიკურ ასპარეზზე, მანამ იქნება „ქართული ოცნება“ ხელისუფლების სათავეში.

აი, ასე იქნება!

რატომ გადაიზარდა ქართველების დაბრუნების საკითხი ორპარტიულ პოლიტიკურ კინკლაობაში?

დასაწყისი მე-2 გვერდზე

საგანგებო მდგომარეობისას კაცს ცოლი ვერ დაუსვამს საკუთარ მანქანაში გვერდზე, პოლიცია 3.000 ლარით აჯარიმებს და ესენი გველაპარაკებიან, რომ თურმე შეგვიძლია თვითმფრინავი ავავსოთ ხალხით ისე, რომ მთავრობასთან შეთანხმებები და შესაბამისი პროცედურები არ სჭირდება. შეიძლება ჭკუათმყოფელმა ადამიანმა ეს დაიჯეროს?! გამოდის ადამიანი და ამას ლაპარაკობს, თან ისე, რომ არც რცხვენია.

– თქვენი შეფასებით, ამით რის მიღწევა სურს ხელისუფლებას?

– არ ვიცი. მათ უნდა ჰკითხოთ. ეს რომ უტიფარი ტყუილი და უნამუსობაა, ეს ფაქტია. რის მიღწევა სურს, ეს საზოგადოებამ გაარკვიოს. ჩვეულებრივ ვითარებაში ვერ გააკეთებ ასე მთავრობის ნებართვის გარეშე. ასე ხომ არ არის, რომ ვისაც უნდა, დაქოქოს თვითმფრინავი და ვისაც უნდა, წავიდეს და წამოვიდეს?! აბა რისთვის არსებობს საავიაციო და სხვა რეგულაციები?! ამ ვითარებაში ხომ ბევრად უფრო რთულია. მისი – გახარიას ხელმოწერილი რომ არ იყოს ეს დოკუმენტი, კიდევ სხვაა. მათ გამოსცეს ეს განკარგულებები.

გამოდის კაცი, ამას ლაპარაკობს და ჩვენ აქეთ გვლანძღავს, რომ თურმე ჩვენ პოლიტიკას ვთამაშობთ და ათას ეპითეტებს იყენებს ძალიან უნამუსოდ და უტიფრად. ჯერ ერთი, საჭიროა, რომ ყველა სახელმწიფოს ნებართვა სთხოვოს საქართველომ, რომ მათი საჰაერო სივრცე გაიხსნას, რადგან ყველა სახელმწიფოს საჰაერო სივრცე დაკეტილია, ასევე საჭიროა ამ რეისების დაკომპლექტება, საქართველოს საელჩოებმა უნდა შეადგინონ სია, ვინ უნდა ავიდეს თვითმფრინავების ბორტზე და ვინ უნდა მოხვდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპით, იმის გათვალისწინებით, ვინ მიმართა საელჩოებს და ა. შ.

– გახარიამ ამაზეც თქვა, რომ თუ ორგანიზება არ შეუძლიათ, გაჩერდნენო.

– ჩვენ ხომ არ ვართ საელჩო? ჩვენ დავწეროთ ეს სიები? ჩვენი ახლობლები და მეგობრები ხომ არ უნდა ჩამოვიყვანოთ? მათ არ უნდათ ამ საქმეში მონაწილეობა? ჩვენ ვამბობთ, რომ ვშოულობთ ავიაკომპანიას და ვიხდით ფულს, ხოლო საქართველოს მთავრობას მუშაობა არ უნდა?! აბა რისთვის გვყავს საელჩო და საკონსულო?!

– პოლიტიკური ქულების დაწერაზეც გაკეთდა აქცენტი. თქვენ ცალსახად ამბობთ, რომ ამაში პოლიტიკური ქულების დაწერის კომპონენტი არაა და ეს მოტივაცია საერთოდ არ გაქვთ?

– მე საერთოდ არ მიხსენებია პოლიტიკური ქულები არც ჩვენი მხრიდან და არც მათი მხრიდან. მე ვამბობ, რომ თქვენ თვითონ გააკეთოთ დასკვნები, რატომ აკეთებენ ამას. მე გეუბნებით, რომ ეს ტყუილია და რატომ აკეთებენ ამას, ეს თვითონ საზოგადოებამ განსაჯოს. ჩვენ ამდენი ხანია ამაზე ვსაუბრობთ, წარმოვადგინეთ კონკრეტული გეგმაც, სქემაც და დოკუმენტებიც. ესენი ამტკიცებენ, რომ თურმე შეგიძლია თვითმფრინავი აავსო ხალხით და ჩამოიყვანო, თან იმ დროს, როცა პანდემიის გამო, ყველა ქვეყნის საჰაერო სივრცე დაკეტილია.

ეს არის მტკნარი ტყუილი და უნამუსობა, დანარჩენზე კი დასკვნა ხალხმა გააკეთოს – რატომ და რა მიზნით კეთდება ეს.

ჩვენ არ გვინდა კონფრონტაციაში შესვლა და იმ ეპითეტების გამოყენება, რასაც იმსახურებენ. ამის დროც მოვა. ეს ხალხი ჩამოვიყვანოთ, გადავიაროთ ეს უბედურება, ერთად გავიტანოთ ერთმანეთი და ქვეყანა ამ განსაცდელისგან.

შეფასებებისა და პოლიტიკის დროც დადგება. საზოგადოება გააკეთებს ამ შეფასებებს.

ლევან ჩაჩუა: „ქართულ ოცნებას“ ნაციონალების შიში აქვს“

მარიამ მჭედლიშვილი

რა ნაკლი აქვს დამტკიცებულ კომუნალურ სუბსიდიებს? რა ხიფათი შექმნეს ნაციონალური მოძრაობის აქციამ და იეღოველთა შეკრებამ? როგორ იცავს ეკლესია დადგენილ ეპიდემიოლოგიურ ნორმებს? რას აიძულებენ ხელისუფლების წარმომადგენლები საპატრიარქოს? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.

– თქვენ დაახლოებით ორი კვირის წინ გქონდათ თქვენი ინიციატივა, რომელიც ეხებოდა კომუნალურ შეღავათებს სამი თვის განმავლობაში. უხელფასოდ და უშემოსავლოდ დარჩენილებს გადასახადები უნდა მოხსნოდათ, დანარჩენებს – განახევრებოდათ. ხელისუფლებამაც სამი თვის განმავლობაში მიიღო კომუნალური სუბსიდიების გამოყოფის გადაწყვეტილება, თუმცა, განსხვავებული.

– ხელისუფლების გადაწყვეტილება, მართლაც, განსხვავებულია, სამთვიანი პერიოდი კი ჩვენსას ემთხვევა. ჩვენი წინადადებებით მთავრობას ღია წერილით ორჯერ მივმართე. მოვუწოდებდი, დაწესებულიყო ზღვრული ნიშა. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ხალხს ელექტროენერგია, გაზი და წყალი უზომოდ და უყაირათოდ არ დაეხარჯა.

– ხელისუფლებასაც შეუძლია თქვას, რომ ზღვრული ნიშა დააწესა.

– ხელისუფლებამ თქვა, რომ დაფარავს მხოლოდ იმ აბონენტების ხარჯებს, რომლებსაც არ დაუხარჯავთ 200 კილოვატზე და 200 კუბურ მეტრზე მეტი ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი. ეს უსამართლობაა. ვინც 201 კილოვატი დაწვა, იმას არ ეკუთვნის დახმარება. თუ ადამიანის სოლიდარული ხარ, მართლა უნდა დაეხმარო! ამ შეღავათებში მთავრობა ბოლომდე ხალხის სოლიდარული არ აღმოჩნდა. ხელისუფლებას ყველასთვის უნდა გადაეხადა 200 კილოვატსაათის საფასური, დანარჩენს კი ოჯახები თვითონ გადაიხდინდნენ. არ მესმის, რატომ არ შეიძლებოდა გაეთვალისწინებინათ ჩვენი მოძრაობის, „ქართული იდეის“ ან სხვა ჯგუფისა თუ პარტიის იდეები! საბოლოო გადაწყვეტილებას ხომ ხელისუფლება თვითონ მიიღებდა. ხალხი ამას მადლიერებით შეხვდებოდა. აპრილია და უჩვეულოდ ცივა. მარტშიც ციოდა და მოსახლეობას მეტი დანახარჯი ჰქონდა. უმრავლესობამ 200 კილოვატზე მეტი დახარჯა.

– რაღაცაში მაინც გაითვალისწინა ხელისუფლებამ სხვების ინიციატივები?

– გაითვალისწინა. ჭკუაში დაუჯდა „ქართული იდეის“ ზოგიერთი მოსაზრება და ნაწილობრივ სხვისი წინადადებებიც. გამოვიდა ამის საშუალო არითმეტიკული. ხელისუფლება ასე იმიტომ იქცევა, არავის ანგარიშს იმიტომ არ უწევს, რომ კომპლექსებისაგან ვერ გათავისუფლებულია.

– რამ დააკომპლექსა „ქართული ოცნება“?

– „ქართულ ოცნებას“ აქვს ნაციონალური მოძრაობის შიში. ის იმყოფება ნაცმოძარობის იდეოლოგიური ზემოქმედების ქვეშ. თუ ამ სინდრომისგან ვერ გათავისუფლდა, მუდმივად არასწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს და ქვეყანას სტრესში ჩააყენებს. მმართველი პარტია სულ იმას უსმენს, რას იტყვის ნაციონალური მოძრაობა. ამასთან, ცდილობს, რომ მისი გადაწყვეტილებები გარეგნულად ნაცმოძრაობისას არ დაემსგავსოს. ხელისუფლებას ვერ გაუთვითცნობიერებია, რომ ხალხს ნაციონალური მოძრაობა და მისი იდეები აღარ აინტერესებს.

– ნაცმოძრაობასთან დაკავშირებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ცოტა ხნის წინ ზუგდიდში მოაწყო აქცია, ეცადა პირბადეების დარიგებას. იქ ბევრი ადამიანი მივიდა. ნაცმოძრაობის მიმართ ინტერესი არ გამქრალა?

– დარწმუნებული ვარ, რომ ნაციონალურ მოძრაობას ძალიან ცოტა მხარდამჭერი ჰყავს. იმ დღეს ზუგდიდში შეიკრიბა პარტიის აქტივი, იქვე მივიდა ადამიანების ჯგუფი. ამ ხალხს, დიდი ალბათობით, 10-დან 30 ლარამდე გადაუხადეს, რომ იქ მისულიყო. ნაცმოძრაობას ასეთი მეთოდები აპრობირებული აქვს. მხარდამჭერები თუ ჰყავს ნაციონალურ მოძრაობას, თბილისში რომ ნოემბერ-დეკემბერში საპროტესტო აქციები ტარდებოდა, რატომ ვერ გამოიყვანა ხალხი?! 30-ზე მეტი პარტია გაერთიანდა. კანონით, თითო პარტიისთვის 1.000 წევრის ყოლა სავალდებულოა. წევრების მობილიზაცია რომ მოეხდინათ, 30.000 კაცს შეკრებდნენ. ამის მეათედიც ვერ მოაგროვეს. ზოგიერთი პარტია ყოველთვის ნაციონალური მოძრაობის სატელიტი იყო. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ნაცმოძრაობასთან სხვებიც ყოფილან გარიგებული. საგანგებო მდგომარეობის დროს რომ ხალხს აგროვებ, ეს დანაშაულია. ზუგდიდში გაჩნდა ეპიდემიის გავრცელების ღია საფრთხე. ასეთივე საგანგაშოა დაახლოებით ერთი კვირის წინ ზუგდიდში მოწყობილი კიდევ ერთი თავყრილობა.

– ზუგდიდში კიდევ რა თავყრილობა იყო?

– დახურულ სივრცეში შეიკრიბნენ იეღოველები. იქიდან გამოსულ ერთ პირს კორონავირუსი დაუდგინდა.

– საეკლესიო მსახურებებზე განმარტებები გაკეთდა, თუმცა, მოსახლეობაში გაურკვევლობაა. ადამიანებმა არ იციან, როგორი იქნება მოახლოებული აღდგომა.

– მადლობა ეკლესიას, მის უწმინდესობას, სინოდს იმისათვის, რომ მათ სწორი გადაწყვეტილებები მიიღეს. სასიხარულოა, რომ საქართველოში ეკლესიები არ დაიკეტა. ეკლესიებში დაცულია დისტანცია ადამიანებს შორის. მორწმუნეებს აქვთ საშუალება, მიიღონ წმინდა ზიარება. ახლოვდება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. ამის თაობაზე შემაშფოთებელი კულუარული ინფორმაციები მომდის.

– რა ინფორმაციები?

– გარედან მოწოდების შედეგად ხელისუფლება ეკლესიაზე ზეწოლას ახდენს. ვიღაცას უნდა, რომ დღესასწაულთა დღესასწაული, აღდგომა ღამისთევისა და ლიტანიობის გარეშე ჩატარდეს.

– ამას კომენდანტის საათიც მოითხოვს?

– აღდგომისთვის სხვა რეჟიმი უნდა იყოს. დიდი ეჭვია, რომ კომენდანტის საათი, საერთოდ, საგანგებო მდგომარეობა 21 აპრილამდე იმიტომ დააწესეს, რომ აღდგომას ღამის მსახურება არ შესრულდეს. ეკლესიას ეუბნებიან, რომ სადღესასწაულო წირვა დილის 9 საათზე დაიწყონ. ეს ყოვლად გაუმართლებელია. აღდგომას ხალხი უნდა ლიტანიობდეს. მას არ უნდა ეძინოს. ასე წერია ტიპიკონში. ეკლესიაზე ზეწოლა დაუშვებელია. იმათი გვარები, ვინც ამაში მონაწილეობს, გამომზეურდება. სხვა მხრივ, ხელისუფლების ნაბიჯებს მივესალმები. ქებას იმსახურებენ ჩვენი მედიკოსები. მადლობას ვეუბნებით პოლიციელებსა და სამხედროებს. მიღებულია ბევრი პრევენციული გადაწყვეტილება. მთავარი, რაც გადაგვარჩენს, არის ღვთის შეწყალება და ღვთისმშობლის მფარველობა. ჩვენზე ბევრად მდიდარ და ძლიერ სახელმწიფოებს ამ ინფექციისაგან უამრავი მოქალაქე დაეხოცათ. სხვათა შორის, იმ ქვეყნებში ეკლესიების კარები დაიკეტა. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ. მრევლმა ლოცვა უნდა გავაძლიეროთ.

გია ჟორჟოლიანი: „ვისაც მაღალი ხელფასი აქვს, მთავრობამ მაღალი გადასახადები უნდა დაუწესოს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის წევრი გია ჟორჟოლიანი პასუხობს.

– ბატონო გია, მთავრობამ განაცხადა, რომ კრიზისის პირობებში ეკონომიკის გაძლიერებისთვის და მოქალაქეების დასახმარებლად 2 მილიარდ ლარს გამოყოფს. ამ ფაქტს როგორ აფასებთ, მთავრობამ სწორად იმოქმედა?

– აქ რამდენიმე საკითხია, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს და საკმარისად არ ექცევა. რას ნიშნავს მთავრობამ 2 მილიარდი გამოყო? მთავრობამ აღნიშნული თანხა გამოყო ბიუჯეტიდან. ეს ჩვენი ბიუჯეტი შეადგენს 14 მილიარდ ლარს. 14 მილიარდი ლარიდან 2 მილიარდი ლარი არის საგარეო ვალის მომსახურებისთვის. რჩება 12 მილიარდი ლარი, რომელსაც მთავრობა სხვადასხვა საჭიროებისთვის ხარჯავს.

ამ 12 მილიარდიდან მთავრობა ფულს ხარჯავს სახელმწიფო სექტორში, განათლების სფეროში, მმართველობით ორგანოებში, ადგილობრივ მმართველობით ორგანოებში, სახელმწიფო უნივერსიტეტებში, რკინიგზაში. ეს არის ადამიანების ძალიან დიდი რაოდენობა.

გარდა ამისა, მთავრობა ფულს ხარჯავს ჯანდაცვასა და სხვადასხვა სფეროებში, მაგრამ მთავრობის პროგნოზით, ამ 12 მილიარდს 3 მილიარდი დააკლდება. საიდან აქვს მთავრობას ეს ფული.

– მთავრობა ამბობს, რომ ანტიკრიზისული ბიუჯეტის ფარგლებში მუშაობს.

– ბიუჯეტი მთელი ხალხის მიერ გამომუშავებული და გადასახადების სახით გროვდება სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო და სხვა გადასახადების მეშვეობით და შემდეგ მთავრობა მას ხარჯავს. მთავრობას მეტი ფული არ აქვს. მეტ ფულს საიდან მოიტანს.

– დიახ, ცხადია.

– როგორც მთავრობამ თქვა, 12 მილიარდიდან 2 მილიარდი, რომელიც სხვა მიმართულებით უნდა დახარჯულიყო, გადაამისამართა სხვა რამეზე. ბიუჯეტს 3 მილიარდი რატომ დააკლდება? არ მუშაობს ტურიზმი, ტრანსპორტი, ვაჭრობა. ძალიან ბევრი მომსახურების სფერო, პრაქტიკულად, არ მუშაობს. ეს არის ძალიან დიდი დანაკლისი და ბიუჯეტს თანხები დააკლდება. როცა ხალხი არ მუშაობს, ხელფასს ხომ აღარ იღებს, ე.ი. საშემოსავლო გადასახადს არ იხდის და ბიუჯეტში ძალიან ბევრი ფული არ შედის.

პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ მათი პროგნოზით ბიუჯეტს 3 მილიონი დააკლდება. ეს მინიმალისტური ან რეალისტური პროგნოზია. ამიტომ ეს 2 მილიარდი, ძალიან ძნელი მოსაკრებია ბიუჯეტში, მაგრამ რაღაც საშუალება მოიძებნა. დეტალურად, ალბათ, შემდეგ წარმოადგენენ პარლამენტში. იქამდე მთავრობას უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილებები.

– ამ ყველაფერში მთავარი რა არის?

– მთავარი საკითხი არის შემდეგი, რომელსაც ყურადღება არ ექცევა – ყველა, ვისაც არ ეზარება (ოპოზიციური პარტიები და სხვები) აცხადებს, რომ მეტი უნდა დაიხარჯოს, რაც სისულელეა.

– ოპოზიცია ამბობს, რომ გადასახადები უნდა შემცირდეს.

– გადასახადები შევამციროთ და ხარჯები გავზარდოთ, როგორი სისულელეა, წარმოგიდგენიათ?

– ბატონო გია, ფულის მობილიზების რაღაც თავისებური გაანგარიშება აქვს, მაგალითად, ევროპულ საქართველოს.

– გაანგარიშება კი არა, სისულელე აქვს. თუ თქვენ შემოსავალი არ გექნებათ, ანუ ბიუჯეტში გადახდები არ იქნება, რას დაარიგებთ, ეს ფული არ გექნებათ.

– მაშინ 2 მილიარდის გამოყოფა რამდენად სწორი ქმედებაა?

– 2 მილიარდი გამოყვეს. დღეს კი არ აქვს ის 2 მილიარდი. დღეს ბიუჯეტში არის 0 ან 50 მილიონი ლარი. ბიუჯეტში ფული რომ შედის, მაშინვე იხარჯება. ეს შეიძლება ზოგიერთმა მოქალაქემ არ იცოდეს, მაგრამ ეგეც არ ვარგა. ყველამ უნდა იცოდეს, რა არის ბიუჯეტი და მოსთხოვონ მთავრობას.

მთავრობას ურჩევენ, ვალი აიღოს. ეს რა რჩევაა? ყველამ იცის, რომ თუ იშოვის ფულს და გადახდის საშუალება აქვს, წავა და ვალს აიღებს, მაგრამ თუ მთავრობა გადასახადებს შეამცირებს და შემოსავალი არ ექნება, ნასესხები ფული როგორ უნდა დახარჯოს? ამიტომ ეს სულელური რჩევაა და პასუხიც არ სჭირდება.

– ამის გარდა მთავრობამ რა უნდა გააკეთოს?

– მთავრობამ ეს ფული უნდა იშოვოს და სწორად დახარჯოს. შემოსავლები შემცირდა, ხარჯები გაიზარდა. ჩვენი ამოცანა რა არის? ეს ფული რომ დავხარჯო, ფული უნდა ვიშოვო. თუ ფული არ მექნება, როგორ დავხარჯავ? 2 მილიარდი ამას არ ეყოფა. ევროპული ქვეყნები თავიანთი შიდა პროდუქტის მინიმუმ 10%-ს ან მეტს ხარჯავენ.

2 მილიარდი არის მთელი ჩვენი შიდა პროდუქტის 3-3,5%. ჩვენთან შემოსავლები დაბალია, რადგან ცოტა ხალხი მუშაობს და დაბალი გადასახადებია.

– ხელისუფლებას მოუწოდებენ, გადასახადები კიდევ დაბლა დაწიოს.

– ამიტომ გეუბნებით, სისულელეა-მეთქი. მეტი რანაირად გითხრათ. ამას უნდა ბიუჯეტში ჩახედვა და ნახვა, მთავრობას რა ფული აქვს. გახარიას ფული ჯიბეებში კი არ აქვს. ფული ბიუჯეტში მიაქვთ და ის არიგებს. თუ გადახდები არ იქნება, რა უნდა დაარიგოს? მაშინ უნდა ისესხოს.

სესხებაც ძნელია. ისეთი მდგომარეობა არ არის, რომ სხვამ გასესხოს. მსგავს მდგომარეობაშია ყველა. აშშ-ის მთავრობაც სესხულობს. ახლა ამერიკის მთავრობა ჩვენ დაგვეხმარა ჯანდაცვაში – 1 მილიონი დოლარი გამოყო.

ამერიკამ ჯანდაცვისთვის პირველ ჯერზე გამოყო 2 ტრილიონი, ახლა ტრამპმა მეორე ჯერზე 2 ტრილიონის გამოყოფის მოთხოვნით მიმართა კონგრესს, მაგრამ ჯანდაცვისთვის გამოყო 150 მილიარდი. ხომ ხედავთ, რამდენჯერ მეტია 150 მილიარდი იმ თანხაზე, რაც ჩვენმა მთავრობამ გამოყო.

ცხადია, სხვის იმედზე არ უნდა ვიყოთ. მე იმას კი არ ვამბობ, ამერიკელებმა ცოტა რატომ გამოგვიყვეს-მეთქი. უცხოთის ქვეყნებიც მსგავს მდგომარეობაში არიან. ჩვენთან ფონდი რომ შექმნეს და ბიზნესმენებმა ფული გადარიცხეს, 20 მილიონი ლარი შეიკრიბა.

– ცოტაა?

– ცოტა კი არა, არაფერი არ არის, 20 მილიონი გინდ ყოფილა, გინდ – არა. 2 მილიარდის გარდა 351 მილიონი დამატებით ჯანდაცვის ღონისძიებებს სჭირდება. იმაზე რომ არ ვილაპარაკოთ, ხალხს კომუნალური სახდელები აქვს გადასახდელი, მათ, ვინც სამუშაო დაკარგა, სურსათი დააკლდება. იმ ხალხმა შემოსავალი კი არა, საარსებო წყარო დაკარგა, ვინაიდან მათი 80% ყოველთვიური შემოსავლით ცხოვრობდა. ვისაც სამუშაო დარჩა, შემოსავალი დაბალი აქვს.

– თქვენ რა რჩევა გაქვთ?

– ერთადერთი გზა, მაღალ შემოსავლებზე მაღალი გადასახადის დაწესებაა. ხელისუფლებამ მაღალშემოსავლიანი პირების საბიუჯეტო გადასახადი უნდა გაზარდოს. ვისაც, მაგალითად, 3 ათასი ლარი აქვს, მათ დამატებით თავისი შემოსავლების 10% რომ გადაიხადონ ბიუჯეტში, ეს დამატებით რამდენიმე მილიარდი ლარის მობილიზებას მოახდენს წელიწადში.

ვთქვათ, 2 ათას ლარზე მაღალი ხელფასი ვისაც აქვს, დაუწესდეთ მეტი გადასახადი. მაგალითად, ვისაც 3 ათასი ლარი შემოსავალი აქვს, ბიუჯეტში 300 ლარი გადაიხადოს და ეს წავიდეს სოლიდარობის გადასახადში, რადგან. რამდენიმე ასეული ათასი ადამიანი დარჩება სრულად უმუშევარი, სრულად უსახსრო.

– უცხოეთიდანაც ვერ გადმოირიცხება.

– უცხოეთიდანაც ვერ გადმოირიცხება, რადგან მათ იქ სამსახურები დაკარგეს. ამიტომ ერთადერთი შანსი, ვისაც გვაქვს მაღალი შემოსავლები, გვაქვს მაღალი ხელფასი, გადავდოთ ამ მიზნით, რომელიც პირდაპირ უნდა წავიდეს უმუშევრებსა და სოციალურად გაჭირვებულებზე.

არის იდეა, ამას დავარქვათ უნივერსალური საბაზისო შემოსავლები. უნდა დაითვალონ და დაიწყონ კომპენსაციის გაცემა. თავი დავანებოთ იმას, რომ რაღაც ბიზნესები უნდა შენარჩუნდეს.

ჩვენ ვიმყოფებით ისეთ მდგომარეობაში, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში არის გამონაკლისი. ომის დროს მთავრობა აკეთებს მობილიზებას და ყველა იწყებს დღე და ღამე მუშაობას. დღეს ისეთი კრიზისია, მუშაობა შეუძლებელია. მუშაობით ამ ეპიდემიას კიდევ უფრო ხელს შევუწყობთ. ძალიან რთული მდგომარეობაა. ერთადერთი გამოსავალი არის მაღალშემოსავლიანი პირების საშემოსავლო გადასახადების გაზრდაა. ვისაც მილიონი აქვს შემოსავალი, 100 ათასი რომ გადაიხადოს, 900 ათასი ხომ დარჩება. მერე რა დაემართება?

დეპუტატების შემოსავალი 3500-დან 4 ათას ლარამდეა. მე 300-500 ლარი რომ გადავიხადო, არაფერი მომივა. ზოგი 300 ლარით ცხოვრობს, მე 3 ათასი ლარით ვერ უნდა ვიცხოვრო? ვისაც მაღალი შემოსავლები აქვს, ისინი ძალიან ბევრ ფულს ვერ დახარჯავენ, ვერსად წავლენ. მოხმარება შეზღუდულია.

ჩვენი ინიციატივაა, შევქმნათ სოლიდარობის საყოველთაო ფონდი, რომელიც იქნება ბიუჯეტში, სადაც თანხები შევა და დაიხარჯება იმ ადამიანების სოციალური უზრუნველყოფისთვის, ვინც სამსახური დაკარგა და ვისაც ძალიან დაბალი შემოსავლები აქვს. თუ ჩვენ სოლიდარული ეკონომიკა არ შევქმენით, თუ ერთმანეთს არ დავეხმარეთ, მხოლოდ ბიუჯეტი ამას ვერ დაფარავს. მთავრობა ვიღაცის ქველმოქმედებას ვერ დაეყრდნობა.

მატროსოვის ციხის ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო

ყველა მსჯავრდებული რუსთავში გადავიდა

მატროსოვის ციხის ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო და ყველა მსჯავრდებული რუსთავში გადავიდა. ამის შესახებ ინფორმაციას სპეციალური პენიტენციური სამსახური ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, №9 (ე.წ. მატროსოვის) პენიტენციური დაწესებულების ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო.

„საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 27 მარტის №509 ბრძანებით დაიწყო №9 (ე.წ. მატროსოვის) პენიტენციური დაწესებულების ლიკვიდაციის პროცესი.

ვინაიდან დაწესებულების შენობა არის მოძველებული, №9 პენიტენციური დაწესებულება (დაწესებულებაში მყოფი ყველა ბრალდებულ/მსჯავრდებული) გადავიდა ქალაქ რუსთავში, №12 და №16 პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე, ერთ-ერთ კორპუსში, რომელსაც, ამ მიზნით, 2019 წლის შემოდგომიდან რეაბილიტაცია ჩაუტარდა, არის კეთილმოწყობილი, უსაფრთხო და სრულად შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს. 1-ელი მაისიდან, ლიკვიდირებული №9 დაწესებულება №12 დაწესებულებას შეურთდება“ – აღნიშნულია სპეციალური პენიტენციური სამსახურის განცხადებაში.

პოლიციამ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 238 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობისა და ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობენ. პოლიცია, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებს.

სამართალდამცველებმა, მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 238 ახალი ფაქტი გამოავლინეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, 4 აპრილის 21 საათიდან 5 აპრილის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 113 მოქალაქე დააჯარიმეს.

გარდა ამისა, პოლიციამ საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრების და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის გამო, 21 მოქალაქე დააჯარიმა.

1 იურიდიული და 1 ფიზიკური პირი დაჯარიმდა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვების დარღვევის ფაქტზე.

პოლიცია, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად, თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მკაცრ კონტროლს განაგრძობს. ერთობლივი მონიტორინგის შედეგად, თვითიზოლაციის წესების დარღვევის 12 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

ასევე, სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე 90 პირი დააჯარიმეს.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობით დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პროკურატურამ ბრალდებულებისთვის სატელეფონო ზარების განხორციელების შესაძლებლობა დაუშვა

საქართველოს პროკურატურამ ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის და სოციალური დისტანციის დაცვის მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი იმ ბრალდებულებისთვის, რომელთაც სატელეფონო კომუნიკაცია ბრალდების მხარის მიერ აქვთ შეზღუდული, სატელეფონო ზარების განხორციელების შესაძლებლობა დაუშვა.

საქართველოს პროკურატურამ აღნიშნულ საკითხზე იუსტიციის სამინისტროს უკვე მიმართა.

„ბრალდებულებისთვის სატელეფონო საუბრის დაშვების გადაწყვეტილება განპირობებულია ოჯახების მხრიდან გაზრდილი ინტერესით მათი მდგომარეობის თაობაზე და აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს დისტანციურად ოჯახების მეტად ინფორმირებას.

აღნიშნული შეღავათის დაწესება ასევე შეამცირებს მათი ადვოკატების დამატებით ვიზიტს პენიტენციურ დაწესებულებებში, რაც ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციას შეუწყობს ხელს, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ოზურგეთის საკათედრო ტაძარი გაქურდეს

ამხილეს არასრულწლოვანი ძმები

ოზურგეთის საკათედრო ტაძარი გაქურდეს. ეკლესიის გასაღებად მისულ მესანთლეს ტაძარი გატეხილი დახვდა.

გატეხეს შესაწირი ყუთები, ასევე წაიღეს სანთლისა და სეფისკვერის თანხა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოზურგეთში მომხდარი ტაძრის გაქურდვის ფაქტზე არასრულწლოვანი ძმები – 2005 წელს დაბადებული გ.კ. და 2007 წელს დაბადებული ი.კ. ამხილეს.

უწყების ცნობით, ძმებმა 2 აპრილს, 18:00 საათზე, ოზურგეთის საკათედრო ტაძარში ფარულად მას შემდეგ შეაღწიეს, როცა ტაძრის წინამძღვარმა საღამოს წირვის შემდეგ ეკლესია დატოვა.

არასრულწლოვნებმა ტაძრის შესასვლელ კართან მდებარე შესაწირავის ხის ყუთები დააზიანეს, მათში მოთავსებული ფული მოიპარეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფებში სადეზინფექციო სამუშაოები გრძელდება

უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროში საგანგებოდ შექმნილი სამუშაო ჯგუფები პერმანენტულ რეჟიმში აგრძელებენ სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებას, მათ შორის, საკარანტინო ზონაში, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების საპოლიციო დანაყოფებში.

სამუშაოები მასშტაბურია და პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, სპეციალური ხსნარებით მუშავდება ქვეყნის მასშტაბით სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, ჯამში 241 -ზე მეტი ობიექტი.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით სადეზინფექციო სამუშაოები შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ყველა ფილიალში რეგულარულად ტარდება.

ოკუპირებულ აფხაზეთში მოვლენების პესიმისტურ სცენარსაც განიხილავენ

ინფექციასთან ბრძოლის შტაბი: „თუ ქუჩებში ხალხი არ შემცირდა, კომენდანტის საათს შემოვიღებთ“

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთს „კოვიდ 19-მა“ დაახლოებით ისეთივე ეკონომიკური ზარალი მიაყენა, როგორც დანარჩენ საქართველოს.

რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი ჯანსულ ნანბა აცხადებს, რომ ბიუჯეტში მკვეთრად იკლო შემოსავლებმა. ხელისუფლება იღებს ზომებს ჩავარდნებისა და კორონავირუსის გამო შექმნილი პრობლემების დასაძლევად.

აფხაზეთის ფინანსური უწყება მოვლენების განვითარების სხვადასხვა ვარიანტზე მუშაობს.

– გვაქვს პესიმისტური და ოპტიმისტური სცენარები. თუ ეს სიტუაცია ერთ-ორ თვეში დასრულდება, ოპერატიულად შევძლებთ ეკონომიკური დაღმასვლის თავიდან აცილებას და დანაკარგის მინიმიზირებას. თუ სიტუაცია დიდხანს გაგრძელდება, მაშინ მოგვიწევს ბიუჯეტის გადახედვა. მოხდება ხარჯვითი ნაწილის სეკვესტრირება, – აღნიშნა ნანბამ.

მისი თქმით, კორექტივები ხარჯებში უკვე შევიდა, დანახარჯები შემცირდა, ვინაიდან სამინისტროები და უწყებები დათხოვნილია. პრიორიტეტად გამოცხადებულია ხელფასების, შემწეობების დროულად დარიგება და კორონავირუსთან ბრძოლა.

ოკუპირებული რეგიონი გამოწვევის წინაშე დადგა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიდან ფინანსური დახმარება არ შეწყვეტილა და არ შემცირებულა.

რეგიონის ხელმძღვანელობას ბიზნესისთვის დამატებითი შეღავათების დაწესებისკენ მოუწოდებს აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი თამილა მირცხულავა. მისი თქმით, ხელისუფლებამ ბიზნესმენებს უკვე ორი თვით გაუუქმა ან გადუვადა ზოგიერთი გადასახადი, თუმცა, ეს საკმარისი არ არის იმ სექტორისათვის, რომელიც საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემდეგად საერთოდ გაჩერდა. მათ შორისაა კვების ობიექტები, სპორტული ინდუსტრია, ტურისტული სფერო, ავეჯის სალონები.

მისი თქმით, ბიზნესს ხელშეწყობა სჭირდება, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა ის კორონავირუსთან ბრძოლის სპეციალურ ფონდშიც ფულს რიცხავს.

აფხაზეთში შექმნილ სპეციალურ ფონდში თავისი სოლიდური წვლილი შეიტანა მოსკოვში მცხოვრებმა აფხაზურმა დიასპორამაც.

უნდა ითქვას, რომ დე ფაქტო საპრეზიდენტო განმეორებითი არჩევნების დროს, 22 მარტს, საარჩევნო უბანი მოსკოვშიც იყო გახსნილი და იქ არჩეულმა „პრეზიდენტმა“ ასლან ბჟანიამ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

რუსეთში პუტინმა 30 აპრილამდე დასვენება-იზოლაცია გამოაცხადა. ასლან ბჟანიას „ინაუგურაცია“ სწორედ ამ პერიოდში, 23 აპრილს იგეგმება.

რთული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, წესით, ამ ცერემონიალს სტუმრები არ უნდა დაესწრონ.

ოკუპირებულ რესპუბლიკაში კი ზომები გამკაცრდა: ქუჩაში საგუშაგოებზე პოლიციელებთან ერთად მედიკოსებიც დადგნენ. ისინი მძღოლებსა და მგზავრებს ტემპერატურას უზომავენ.

ამ ეტაპზე აფხაზეთის მცხოვრებლებში კორონავირუსით დაინფიცირებულად ითვლება გალის რაიონის სოფელ საბერიოს მკვიდრი ნინო ხეცურიანი. იგი რუსეთიდან აფხაზეთში 29 მარტს ჩამოვიდა. მას დიაგნოზი ენგურგამოღმა დაუსვეს.

გალის რაიონში ღამით კომენდანტის საათი მოქმედებს. ამას ენგურზე გადასვლა-გადმოსვლის რეჟიმის დარღვევების აღსაკვეთად ხსნიან.

არ არის გამორიცხული, კომენდანტის საათი აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზეც ამუშავდეს. კორონავირუსისაგან დაცვის საკოორდინაციო შტაბის განცხადებით, თუ ქუჩებში ხალხი არ შემცირდა, კომენდანტის საათს შემოიღებენ.

ჯერ კიდევ საგანგებო მდგომარეობის შემოღებამდე აფხაზეთში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ საქართველოს ხელისუფლების თხოვნით ჩაიტანა სხვადასხვა მედიკამენტი, დამცავი და სადეზინფექციო და საშუალებები.

როგორც ჩანს, ამან რესპუბლიკაში ზოგიერთი პირი გააღიზიანა. გამოჩნდნენ გაეროსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოწინააღმდეგები.

მათ უპასუხა სოხუმელმა პუბლიცისტმა ნადეჟდა ბენედიქტოვამ. მისი თქმით, მოთხოვნა, რომ აიკრძალოს აფხაზეთში გაეროსა და ჯანმოს დახმარების შემოტანა, უმეცრება და ჩამორჩენილობაა.

პუბლიცისტის სიტყვებით, ამ უვიცმა ადამიანებმა არ იციან, როგორაა მოწყობილი მსოფლიო. მათ ჰგონიათ, რომ დასავლეთს, რომელიც თვითონაც გაჭირვებით ებრძვის კორონავირუსს, აფხაზეთის დაღუპვა უნდა. ეს პრიმიტიულობამდე აბსურდული აზრია.

იგი განმარტავს, რომ გაერო დასავლური კი არა, საერთაშორისო ორგანიზაციაა და მასში 193 ქვეყანა შედის.

კალეიდოსკოპი

პოლიციელი ქუჩაში ექსტრავაგანტული ჩაფხუტით გამოვიდა

ინდოელმა პოლიციელმა გადაწყვიტა ექსტრავაგანტულად მოქცეულიყო, რათა ამით ადამიანები კორონავირუსის საფრთხეზე გაეფრთხილებინა და დაერწმუნებინა ისინი სახლში დარჩენის აუცილებლობაში.

პოლიციის ოფიცერმა ქალაქ ჩენაიში რაჯეშ ბაბუმ თავზე დაიხურა სპეციალური დამცავი ჩაფხუტი, რომელიც ვირუსული ინფექციის ფორმაშია შესრულებული.

წითელი ფერის ექსტრავაგანტული მოტოციკლისტის ჩაფხუტს აქვს შვერილები, რომლებიც წარმოადგენს იმის იმიტირებას, რომლის დანახვაც შეიძლება მიკროსკოპში კორონავირუსის ნახვისას.

ბაბუ ასეთი ჩაფხუტით აჩერებს მოტოციკლებისა დაიმანქანების მძღოლებს, განსაკუთრებით მათ, რომლებიც სამედიცინო ნიღბებს არ ატარებენ და ეუბნება: „თუ თქვენ გამოხვალთ, მაშინ მე შემოვალ“.

პოლიციელისთვის ჩაფხუტი ადგილობრივმა მხატვარმა ბ.გოუტამ დაამზადა. ეს იდეა მას მას შემდეგ დაებადა, როდესაც შენიშნა, რომ ხალხი საკმარისად ინფორმირებული არ იყო კორონავირუსის პრობლემებზე.

კორონავირუსით დასნებოვნება კატებმაც დაიწყეს

ჰონგ კონგის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ პაციენტის, რომელიც COVID-19-ით არის დაავადებული, კატას კორონავირუსი SARS-CoV-2 აღმოუჩინეს. ამ ინფორმაციას ჩინეთის სახელმწიფო ვებგვერდი ავრცელებს.

მას შემდეგ, რაც კატის პატრონს დაავადება დაუდგინეს, მისი შინაური ცხოველი კარანტინში ჰონგ კონგის პორტის მახლობლად მდებარე იზოლატორში გადაიყვანეს. ჰონგ კონგის სოფლის მეურნეობის, თევზის რეწვისა და ბუნების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ცხოველი კორონავირუს SARS-CoV-2-ზე შეამოწმეს და ინფექცია პირის ღრუსა და ცხვირის ნესტოებში აღმოუჩინეს, ასევე – ნაწლავებშიც.

დეპარტამენტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კატას დაავადების სიმპტომები არ აღენიშნება. ამის მიუხედავად, სპეციალისტები მის მდგომარეობაზე დაკვირვებას აგრძელებენ და განმეორებითი ტესტის ჩატარებას გეგმავენ. მანამდე კორონავირუსი SARS-CoV-2 ორ შინაურ ძაღლს აღმოუჩინეს. დეპარტამენტმა მათი ადამიანებისგან იზოლირების რეკომენდაცია გასცა.

კიდევ ერთი დასაბუთება იმისა, რომ კატები, შესაძლოა, კორონავირუსით დაავადდნენ, მოჰყავს ჟურნალ Nature-ს. გამოცემა ყვება იმ ექსპერიმენტების შესახებ, რომლებიც ჩინეთის ჰარბინის ვეტერინარულ კვლევით ინსტიტუტში ჩატარდა, რომლის დროსაც ახალი კორონავირუსის ინფექციით შეეცადნენ, დაესნებოვნებინათ კატები, ძაღლები, ქათმები, ღორები და იხვები. მეცნიერებმა წარმატებას მხოლოდ კატებთან მიაღწიეს და ინფექციის ერთი კატიდან მეორეზე გადაცემა დააფიქსირეს, თუმცა, ამავე დროს, მათ ვერ მოახერხეს იმის პირდაპირი მტკიცებულების მოპოვება, რომ კატებს ადამიანების დასნებოვნება შეუძლიათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„ვიზრუნოთ მათზე, ვინც იტანჯება და ვისაც ყველაზე მეტად უჭირს“

რომის პაპმა ფრანცისკემ ბზობის დღესასწაული წმინდა პეტრეს ცარიელ ტაძარში აღნიშნა

რომის პაპმა ფრანცისკემ კათოლიკური ბზობის დღესასწაული წმინდა პეტრეს ცარიელ ტაძარში აღნიშნა.

მან მრევლს მოუწოდა, კორონავირუსის გამო, იზოლაციაში ყოფნისას არ იფიქრონ იმაზე, თუ რა აკლიათ, არამედ იმაზე, თუ როგორ შეუმსუბუქონ სხვებს ტანჯვა.

– იქნებ ვიზრუნოთ მათზე, ვინც იტანჯება და ვისაც ყველაზე მეტად უჭირს. იქნებ არ ვიყოთ კონცენტრირებული იმაზე, რაც გვაკლია და ვიფიქროთ, თუ რა სიკეთე შეგვიძლია მოვუტანოთ სხვებს, – აღნიშნა რომის პაპმა.

იერუსალიმში იესო ქრისტეს შესვლასთან დაკავშირებულ დღესასწაულს, როგორც წესი, პალმისა და ზეთისხილის ხის რტოებით ათობით ათასი ადამიანი ერთად ზეიმობს წმინდა პეტრეს მოედანზე, ხოლო მსვლელობაში კარდინალები, მღვდლები და მორწმუნეები მონაწილეობენ.

ამჯერად სიმბოლურ პროცესიაში მხოლოდ 20-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და ისინიც საზოგადოებრივი დისტანციის დადგენილ ნორმებს იცავდნენ.

მესა ტელევიზიებით და ონლაინ არხებით გადაიცემოდა.

წელს კათოლიკური სამყარო წმინდა აღდგომის დღესასწაულს 12 აპრილს იზეიმებს.

ბრიტანელ ლეიბორისტებს ახალი ლიდერი ჰყავთ

როგორც ცნობილია, ბრიტანეთის ლეიბორისტულმა პარტიამ უკანასკნელ არჩევნებში სერიოზული მარცხი განიცადა. ამან პარტიის ხელმძღვანელობის განახლება გამოიწვია.

ლეიბორისტული პარტიის ახალი ლიდერი კირ სტარმერი გახდა. ის ყოფილი ადვოკატი და სამართალდამცველია.

სტარმერი ზომიერი მემარცხენეა. პარტიის ლიდერის არჩევნებში მან მემარცხენე და უკიდურესად მემარცხენე კანდიდატებს აჯობა.

ირანში დაბალი რისკის ეკონომიკური აქტივობები 11 აპრილიდან განახლდება

ირანში „დაბალი რისკის“ მქონე ეკონომიკური აქტივობები 11 აპრილიდან განახლდება.

ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა განაცხადა.

– ჯანდაცვის სამინისტროს ზედამხედველობით, ყველა დაბალი რისკის მქონე ეკონომიკური აქტივობა, თეირანის გარდა, ყველგან შაბათიდან განახლდება. ირანის მთავრობის საჯარო მოსამსახურეების ორი მესამედი შაბათიდან სახლებიდან განაგრძობს მუშაობას. ეს გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში არ მოდის სახლში ყოფნის შესახებ ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციასთან, – განაცხადა ჰასან როუჰანიმ სატელევიზიო მიმართვისას.

მას არ დაუკონკრეტებია, თუ რას გულისხმობდა დაბალი რისკის მქონე აქტივობაში. 55.000-ზე მეტი ინფიცირებულით და 3.500-მდე გარდაცვლილით, ირანი მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელებით მეშვიდე ადგილზეა.

ლუკაშენკო: „წამყვანი ქვეყნები კორონავირუსის ფსიქოზით მსოფლიოს გადაკეთებას ცდილობენ“

კორონავირუსის პანდემიას ბელარუსის პრეზიდენტი ფრიად ორიგინალურად გამოეხმაურა.

ალექსანდრ ლუკაშენკოს თქმით, ყველაზე გავლენიანმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, კორონავირუსის ფსიქოზით მსოფლიო გადააკეთონ.

– მეგობრებო, დაფიქრდით, რაც ხდება, წამყვანი ქვეყნები ცდილობენ, ომის გარეშე და კორონავირუსის ფსიქოზით, რომელსაც თან ახლავს ინფოდემია, გადააკეთონ მსოფლიო. ფაქტია, რომ აქ ადამიანები ისევ აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას და ღვთის ნებით, მათ არანაირი ვირუსი არ აქვთ.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები კი მასობრივად ახდენენ ზეწოლას მოსახლეობაზე, რომ მათ იცხოვრონ კორონავირუსის შიშით. ეს არის მცდელობა, შეცვალონ ადამიანური ცხოვრების წესი, – განაცხადა ლუკაშენკომ.

მისი თქმით, ბელარუსში უკვე არის ვირუსის გავრცელების პიკი და ქვეყანას აქვს შესაძლებლობა და რესურსი, რომ ამას გაუმკლავდეს.

ბელარუსში 351 ადამიანია ინფიცირებული კოვიდ 19-ით, 4 ადამიანი გარდაიცვალა.

საფრანგეთში მამაკაცმა 2 ადამიანი მოკლა, 5 დაჭრა

საფრანგეთის ქალაქ რომანს სიურ იზერში სისხლიანი ტრაგედია მოხდა. დანით შეიარაღებული უცნობი მამაკაცი ქუჩაში გამვლელებს თავს დაესხა.

დაიღუპა 2, დაიჭრა 5 ადამიანი.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მომხდარი ტერორისტულ აქტად შეაფასა. ტელევიზიით გამოსვლისას მან თქვა, რომ თავდამსხმელი სუდანელი ლტოლვილია და, სავარაუდოდ, ექსტრემისტებთან იყო დაკავშირებული. ის დაკავებულია.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

სისხლიანი ტრაგედია რიაზანთან

დაბა ელატმაში (რიაზანის მახლობლად) სისხლიანი ტრაგედია მოხდა.

მთვრალი ახალგაზრდების კომპანია ვინმე ვასილ ტ-ს სახლთან სიმღერებს გაჰკიოდა. ვასილ ტ-მ მათ შენიშვნა მისცა. პასუხად ახალგაზრდებმა შეაგინეს. ვასილი ტ. გარეთ გამოვარდა, ჩხუბი და გინება ატეხა, რის გამოც გვარიანად გაილახა. დასისხლიანებული ვასილი ტ. შინ შებრუნდა, სანადირო თოფს ხელი სტაცა და აივნიდან ახალგაზრდებს ცეცხლი გაუხსნა.

მან 5 კაცი მოკლა. პოლიციამ ვასილი ტ. დააკავა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

სპილოებმა სპლიყვები მტაცებლების ხროვისგან დაიცვეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნული პარკის დამთვალიერებლები მტაცებლებისა და სპილოების ჯოგის დაპირისპირების თვითმხილველები გახდნენ. თვითმხილველის მიერ გადაღებული კადრები იუთუბიზე პარკის არხზე გამოქვეყნდა.

პარკის თანამშრომლები ავტომობილით თვალს ადევნებდა გიენისებური ძაღლების ხროვის გადაადგილებას. მის თვალწინ, ტყის გზაზე, რომელსაც სპილოების ჯოგი კვეთდა, მტაცებლების ხროვამ მოიყარა თავი. სპილოებს ასეთი მეზობლობა არ მოეწონათ. ჯოგი შეჩერდა. მოზრდილი ცხოველები წინ წამოვიდნენ, რათა ამით პატარა თანამოძმეები დაეცვათ და მოწინააღმდეგეთა მისამართით მუქარის შემცველი ღრიალი დაიწყეს.

მტაცებლებმა გადაწყვიტეს არ გაერისკათ და ერთი მეორის მიყოლებით გაეცალნენ იქაურობას და ბუჩქნარში გაუჩინარდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საფრთხე აღარ არსებობდა, სპილოები მაინც ადგილზე დარჩნენ, რათა დარწმუნებულები ყოფილიყვნენ, რომ გიენისებური ძაღლები არ მობრუნდებოდნენ.

– არასოდეს მსმენია, რომ ძაღლები თავს დასხმოდნენ სპლიყვებს, მაგრამ სპილოები უკიდურესად უარყოფითად რეაგირებენ ნებისმიერ მტაცებელ ცხოველზე, – განაცხადა პარკის თანამშრომელმა, რომელიც იმ დროს ავტომობილის საჭესთან იჯდა.

ჩინელი ექიმი, რომელმაც ინფორმაციის დამალვის თაობაზე დაიჩივლა, გაუჩინარდა

უხანის ცენტრალური საავადმყოფოს მიმღები განყოფილების დირექტორი აი ფენი მას შემდეგ გაუჩინარდა, როდესაც სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ის აკრიტიკებდა ხელისუფლებას ახალი კორონავირუსის ინფექციის აფეთქების ადრეულ სტადიაზე მოქმედების გამო.

აი ფენი იყო ის ერთ-ერთი პირველი ექიმი, რომელმაც ახალი დაავადება შენიშნა. მან პირველი პაციენტი უჩვეულო რესპირატორული ინფექციით ჯერ კიდევ 2019 წლის 18 დეკემბერს გასინჯა. ის უხანის ზღვის პროდუქტების ბაზარში მუშაობდა, საიდანაც, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, დაიწყო ახალი კორონავირუსის გავრცელება. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში მის განყოფილებაში იგივე სიმპტომებით კიდევ რამდენიმე ავადმყოფი შევიდა.

დეკემბრის ბოლოს, როდესაც ახალი კორონავირუსის ინფექციის თაობაზე განცხადება ჯერ კიდევ არ იყო გაკეთებული, აი ფენმა ერთ-ერთი პაციენტის ანალიზის პასუხები მიიღო. მან იქ ხაზგასმით დაწერა სიტყვები „კორონავირუსი SARS“ და კოლეგებს საბუთის ფოტოსურათები გადაუგზავნა. ერთ-ერთი მიმღები იყო ოფთალმოლოგი ლი ვენლიანი, რომელიც თებერვალში კორონავირუსის ინფექციისგან გარდაიცვალა. მარტში აი ფენი ჩინურ გამოცემა „ჟენიუს“ მოუყვა, რომ მან, ისევე როგორც ვენლიანმა მკაცრი საყვედური მიიღეს ავადმყოფობაზე ინფორმაციის გავრცელების გამო.

გამოცემაში სტატიის გამოქვეყნებიდან ორ კვირაში აი ფენი გაუჩინარდა. მისი ადგილსამყოფელი უცნობია, ხოლო სტატია მისი აღიარებით წაშლილია. ტელეპროგრამის „60 წუთი ავსტრალია“ ავტორები თვლიან, რომ ექიმი ქალი ჩინეთის ხელისუფლებამ საიდუმლოდ დააკავა. სხვათა შორის, მსგავსი რამ ადრეც მომხდარა.

რადიომ „თავისუფალი აზია“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ტელეპროგრამის ტრანსლაციის შემდეგ სოციალურ ქსელში აი ფენის გვერდზე გამოჩნდა უხანის ერთ-ერთ ქუჩაზე გადაღებული ფოტოსურათი, რომელსაც უცნაური წარწერა აქვს: „მდინარე. ხიდი. გზა. საათის რეკვა“. აი ფენის გაუჩინარებამ ჩინეთში ინტერნეტ-მომხმარებლების პროტესტი გამოიწვია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ეთერ ჭყონიამ კორონავირუსს მადლობა გადაუხადა

ოპერის მომღერალმა ეთერ ჭყონიამ საჯაროდ გადაუხადა მადლობა მსოფლიოში გავრცელებულ ახალ კორონავირუსს, რომელმაც ზოგიერთი „ახლობლის“ ნამდვილი სახე დაანახა:

– ერთადერთი სამართალი, რომელიც დედამიწაზე არსებობს, არის ის, რომ ყველაფერი ცვალებადია. ასევე ისიც, რომ მდიდარიც და ღარიბიც ერთნაირად კვდება.

ამ კორონავირუსის დროს ბევრმა „არაჩვეულებრივად“ გამოავლინა თავი. კარგად გამოაჩინა, რომ ადამიანი ექსტრემალურ სიტუაციაში თავის ნამდვილ ცხოველურ ბუნებას ავლენს. მადლობა ვირუსს, რომ ზოგიერთი „ახლობლის“ ნამდვილი სახე დამანახა. წლების წინ ღორის და ქათმის გრიპმა თითქმის მშვიდად ჩაიარა. ამავე დროს ბევრი ხალხი წაიყოლია, განსაკუთრებით მოხუცები. მაგრამ ასეთი პანიკა არ ყოფილა, ვინაიდან ამდენი სოც. ქსელებიც არ არსებობდა და ამდენი ინფორმაციის მუსირების საშუალებები. ახლა ამ წყაროებმა უამრავი დეზინფორმაციაც გააჩინა. უკვე დაიჭირეს და ასამართლებენ ფეიკების გამავრცელებლებს, რომლებიც ვიღაცის შეკვეთით გარდაცვლილების გაზვიადებულ, ყალბ ციფრებს ავრცელებენ. ასევე „ბიზნესმენები“, რომლებმაც ყველა პირბადე შეისყიდეს, რომ შემდეგ სამმაგ ფასში გაეყიდათ. ოჯახებში ფსიქოლოგიური კრიზისის გამო ცოლ-ქმრის გაყრამ რადიკალურად იმატა. ასევე იმატა შეშინებული გაუნათლებელი ნათესავების ერთმანეთში ჩხუბმა და ათასნაირი სიტყვებით ლანძღვამ, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცა, უფრო ჭკვიანმა, შექმნილ მდგომარეობაზე უფრო მეტი იცის, ან საკუთარ, განსხვავებულ აზრს ახმოვანებს და პანიკას არ ყვება.

ვაი თქვენს პატრონს! ასე როგორ გიყვართ ეს უბედური ცხოვრება, ან საკუთარი თავი, რომ იმ მცირეოდენ ჭეშმარიტ ახლობელს ან მეგობარს, რომელიც გყავთ, სამუდამოდ ხელს კრავთ, დროებითი შიშის, რაღაც ამბიციების, „სწორი“ და „არასწორი“ აზრების გამო? ან, სულ ცოტა, მეოცე საუკუნის ისტორია მაინც არ იცით? ამდენი შემზარავი მოვლენების, ბოროტების, ან ომების დროს იმდროინდელ ჩვენს წინაპარს ნებისმიერი ვირუსი ან სავადმყოფო მოენატრებოდა. რა შეგეშინდათ ასეთი! ყველანი, ადრე თუ გვიან, „იქ“ მოვხვდებით. მთავარია, სანამ ეს დრო მოვა, ადამიანად დარჩე! როგორც ესპანეთში ამბობენ, ისედაც „ორდღიანია ეს ცხოვრება!“

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

რა მოხდა 1954 წლის 4 აპრილს თბილისის დინამოსა და მოსკოვის სპარტაკის მატჩზე

რას იხსენებს აქსელ ვართანიანი

სანამ საფეხბურთო ჩემპიონატები შეჩერებულია, ბევრი რამის გახსენება წარსულიდან მოგვიწევს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტია 1954 წლის 4 აპრილს, თბილისის დინამოსა და მოსკოვის სპარტაკის შეხვედრა, რომელსაც თითქოსდა მსხვერპლი მოჰყვა.

ეს შეხვედრა და მომხდარი ფაქტები რუსულმა ვებგვერდებმა გაიხსენეს. რამდენიმე ვებგვერდზე წერია, რომ 66 წლის წინ, სპარტაკთან მატჩის წინ თბილისში ჭყლეტა მოხდა, შედეგად გარდაიცვალა 20 ადამიანი.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ სსრკ-ში ბევრი ისეთი რამ ხდებოდა, რასაც მოქალაქეებს უმალავდნენ: ჭყლეტა 1975 წელს „სოკოლნიკებში“, როდესაც ერთმანეთს სსრკ-სა და კანადური გუნდის, ბერი კაპის იუნიორები ხვდებოდნენ. საღეჭი რეზინის გამო მომხდარ ჭყლეტაში 21 ადამიანი გარდაიცვალა. მათგან 13 ჯერ 16 წლისაც არ იყო.

ანაც 1982 წელს „ლუჟნიკებში“ მომხდარი ტრაგედია, როდესაც უეფას თასის მატჩში ერთმანეთს მოსკოვის სპარტაკი და ნიდერლანდური ჰაარლემი ხვდებოდნენ. ამ თამაშმა 66 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათგან უმეტესობა არასრულწლოვანი იყო.

როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში კარგა ხანს დუმდნენ.

თბილისში მომხდარი ტრაგედია კიდევ ერთია, რომლის აღწერას ვერც ერთ საბჭოთა გაზეთში ვერ ნახავთ.

დავუბრუნდეთ რუსულ ვებგვერდებს. კერძოდ, ერთ-ერთ მათგანს თბილისში დაბადებული, ახლა მოსკოვში მცხოვრები ჟურნალისტი და ისტორიკოსი აქსელ ვართანიანი 1954 წლის 4 აპრილის ამბებს იხსენებს. იმ დროისთვის მე-10 კლასის მოსწავლე ვართანიანი ტრიბუნაზეც ყოფილა.

1954 წლის სეზონი თბილისელთათვის ჩემპიონ სპარტაკთან მატჩით იწყებოდა. აჟიოტაჟი ძალიან დიდი იყო და ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა. არა იმიტომ, რომ სტუმრად წინა სეზონის ჩემპიონი ჩავიდა.

წინა სეზონში დინამო აშკარად „მოკლეს“ და ჩემპიონად გახდომის უფლება არ მისცეს. არაფრის გამო გააპროტესტეს მოსკოვის ტორპედოსთან მატჩი, რომელიც ქართველთა სასარგებლოდ 2:1 დასრულდა და გადაათამაშეს. მიზეზად ვითომდა მსაჯის მრავლობითი შეცდომები დაასახელეს. გადათამაშება მოხდა იმ დროისთვის სარეკორდოდ მოკლე დროში და მრავალი წესის დარღვევით! ფეხბურთელები იმდენად იმედგაცრუებულნი იყვნენ, რომ 2 დღე ღვინოს სვამდნენ, ხოლო მატჩის დასაწყისშივე ყველას გააგებინეს, რომ ნებდებოდნენ. ტორპედოსთან 1:4 წააგეს, ჩემპიონი კი სპარტაკი გახდა, რომელმაც თბილისურ გუნდს მხოლოდ 2 ქულით გაასწრო. გამოვიდა ისე, რომ თბილისის დინამოს „ოქროს მატჩში“ მონაწილეობის უფლება წაართვეს...

წინა სეზონში ოქროს მედლებისთვის მებრძოლი გუნდების თამაშმა თბილისში დიდი ინტერესი გამოიწვია და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში აფიშები არ იყო გამოკრული, ბილეთები კი მხოლოდ წინასწარი შეკვეთით იყიდებოდა. ბილეთები თავისუფლად მხოლოდ მატჩის დღეს უნდა გაყიდულიყო, მაგრამ უცნაურ გარემოებათა გამო ბილეთები თითქმის არ იყო. გადამყიდველებსაც კი, ნომინალურზე გაცილებით მაღალ ფასში ჰქონდათ შეძენილი. ამასთან, სპარტაკთან მატჩზე ბილეთების შოვნა შეუძლებელი იყო – მსურველთა რაოდენობა გაცილებით აღემატებოდა სტადიონის ტევადობას.

აქსელ ვართანიანი:

– როდესაც თამაში მოახლოვდა, ვნებები გამძაფრდა და გიჟური აჟიოტაჟი შეიქმნა. საქართველოს თითქმის მთლიანი მამრობითი მოსახლეობა დედაქალაქისკენ დაიძრა. მსურველთა რაოდენობამ ტრიბუნების ტევადობას ბევრად გადააჭარბა. უზარმაზარ ციფრებს ასახელებენ – 200, 350 და სრულიად წარმოუდგენელ 500.000-საც კი. უსიამოვნო მოლოდინზე ბუნებაც გვაფრთხილებდა. მოულოდნელად, 2 აპრილის დილით, თოვლი წამოვიდა, რასაც თბილისში ზამთარშიც ვერ ნახავდით. იქნებ ბუნებამ ცუდი ამბავი იგრძნო და უბედურების თავიდან აცილება სცადა? ან იქნებ, ნიშანი მიეცა, რათა ხალხს ბილეთის ძებნა შეეწყვიტა და თბილ სახლში პოპულარული მსახიობის, ეროსი მანჯგალაძის რადიორეპორტაჟით ესარგებლა? მაგრამ განა მათ შეაჩერებდით! მატჩის დღეს, 4 აპრილს, უკვე მზე ანათებდა და თოვლი დადნა. მაგრამ მინდვრის გაწმენდა ვერ მოხერხდა.

უბილეთო გულშემტკივრებმა მაინც შეძლეს სტადიონზე იერიშით შესვლა. მილიციამ მათი შეჩერება ვერ შეძლო. პანიკის მიუხედავად, სტადიონის რკინის კარების ჩაკეტვა მაინც მოახერხეს, რათა ხელმეორე გარღვევა აღეკვეთათ. ათასობით ადამიანი ერთადერთ ცენტრალურ შესასვლელს მიაწყდა – გენერალური იერიშიც მალევე დაიწყო. მილიციის რაზმებმა ადამიანურ სტიქიასთან გამკლავება ვერ შეძლეს. მაგრამ არა მარტო მათ – ხალხს მასიური რკინის ღობეებმაც ვერ გაუძლო და ასეთი ზეწოლის შემდეგ ჯართად გადაიქცა. წარმოუდგენელი ჭყლეტის შედეგად, რამდენიმე ათეული ადამიანი გარდაიცვალა.

ტრიბუნები და კიბეები თამაშის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გაივსო. შტურმის მონაწილეები ყველგან სხდებოდნენ, სადაც ეს შესაძლებელი იყო: მანამდე შესულთა მუხლებზე, პირველ და მეორე იარუსს შორის და არენის მთელს პერიმეტრზე.

დანარჩენი მოვლენებს ტრუბუნების გუგუნითა და წინ მყოფთა რეპლიკებით იგებდნენ. პრეტენზიები არ ყოფილა – ყველას უხაროდა: ვინც ვერ ხედავდა, საათნახევრის განმავლობაში უნიკალური საფეხბურთო დღესასწაულის ატმოსფეროთი სუნთქავდნენ და დანარჩენებთან ერთად, უკიდურესად ბედნიერნი იყვნენ, რადგან თბილისელებმა მოიგეს. ტრიბუნების დატოვებისას, თამაშის მიმდინარეობას და გოლებს განიხილავდნენ. ალბათ, ადამიანის სხეულებით დამახინჯებული რკინის ღობეები ვერავინ შენიშნა.

ტრაგედიის შესახებ ჭორები თამაშის დასრულებისთანავე მთელს ქალაქში გავრცელდა, რაც ყოველთვის დასაჯერებელი არ იყო. რამდენიმე საათის შემდეგ, მომხდარზე ინფორმაცია უცხოურმა რადიოებმა გაავრცელეს. ყვებოდნენ დეტალებზე, 60 ან 70 გარდაცვლილზე, მაღალი შეფასება მისცეს იმ სამსახურების ოპერატიულ მუშაობას, რომლებმაც ერთი საათის განმავლობაში სისხლის კვალი გააქრეს...

ხელისუფლება და მის მიერ კონტროლირებადი პრესა დუმდა.

სტადიონზე 10 ათასით მეტი მაყურებელი იყო. დინამომ 2:1 მოიგო. მასპინძლები პირველ ტაიმში დაწინაურდნენ, მეორე ტაიმში მოსკოველებმა ანგარიში გაათანაბრეს, ბოლოს კი თბილისელებმა გამარჯვებას მიაღწიეს.

დარჩენილი დრო ორმხრივ შეტევებში მიმდინარეობდა. გაისმა საფინალო გონგის ხმა (გონგის ხმა მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ისმოდა). ანგარიში ისევ 1:1-ია. შეხვედრა სავარაუდოდ ფრედ დასრულდებოდა, რომ არა სპარტაკის მეკარე ტუჩკუსის შეცდომა, რომელსაც ბურთი ხელიდან გაუვარდა. ღოღობერიძის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, მაგრამ შემდეგ ყველას კალოევმა დაასწრო და დინამოს გამარჯვება მოუპოვა.

რესპუბლიკური და ცენტრალური პრესა ჭყლეტაზე დუმდა. მხოლოდ 3 დღის შემდეგ „ახალგაზრდა სტალინელში“ ავტორმა აღწერა მომხდარი: მილიციის არასწორ და დაგვიანებულ ქმედებაზე, რკინის ღობეებსა და გადამყიდველებზე, რომლებმაც ბილეთები 8-ჯერ უფრო ძვირად გაყიდეს.

დასაჯეს თუ არა ვინმე, უცნობია...

იუვენტუსი სამ ვარიანტს განიხილავს

იტალიური მედიის ინფორმაციით, ტურინის იუვენტუსის სპორტული დირექტორი ფაბიო პარატიჩი სატრანსფერო ბაზარზე კვალიფიციური ფორვარდის ძიებას აქტიურად განაგრძობს.

მას შემდეგ, რაც გუნდი ზაფხულში გონსალო იგუაინს დაემშვიდობება, რომლის მომავალ ადგილად რივერ პლეიტი სახელდება, ბიანკონერი სამ შესაძლო ვარიანტზე გადაერთვება.

პირველ პოზიციაზე ამ შემთხვევაში გაბრიელ ჯესუსი სახელდება. თუმცა, იტალიური გრანდი ჯერ მანჩესტერ სიტისთან დაკავშირებით უეფას გადაწყვეტილებას უნდა დაელოდოს, რომელმაც ინგლისელთა მხრიდან სატრანსფერო თემებზე აპელაცია უნდა მოისმინოს.

მე-2 ადგილზე მაურო იკარდია – ტრანსფერი, რომელიც იუვეს მინიმუმ 70 მილიონი დაუჯდება. თუმცა, თუ საქმეში მირალემ პიანიჩს ჩართავენ, მაშინ ბარტერი, შესაძლოა, ყოველგვარი ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე განხორციელდეს.

მე-3 ადგილი ჰარი კეინს უკავია, მაგრამ ეს ტრანსფერი წესით იკარდიზე უფრო მეტი ეღირება და კონკურენცია რეალის მხრიდან საგრძნობლად დიდია. დღევანდელი კრიზისის პერიოდში კი ნაკლებად მოსალოდნელია, იუვე ასეთ ავანტიურაზე წავიდეს.

უეფა: ჩემპიონატები უნდა დასრულდეს

უეფამ საკუთარ წევრ ქვეყნებთან ვიდეოკონფერენცია რომ გამართა, ყველას გარკვევით მიუთითა, რომ ეროვნული ჩემპიონატები უნდა დასრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იტოვებს უფლებას, 2020-21 წლების ევროტურნირებზე არ დაუშვას კლუბები იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ეროვნულ ჩემპიონატებს ბოლომდე არ მიიყვნენ.

ეს მკაცრი, მაგრამ მოსალოდნელი რეკომენდაცია იყო, რადგან ამაზე უეფას პრეზიდენტი ალეკსანდრ ჩეფერინი მანამდეც ბევრს საუბრობდა.

როგორც იცით, ამ ეტაპზე, მსოფლიოს და ევროპის თითქმის ყველა ჩემპიონატი შეჩერებულია, ბელარუსის პრემიერლიგის გარდა.

არადა, კორონივარუსის გამო ბელგიამ ჩემპიონატის ვადამდე დასრულების გადაწყვეტილება მიიღო, ოქროს მედლები პირველ ადგილზე მყოფ ბრიუგეს უნდა გადაეცეს, მეორეადგილოსან გენტს, რომლის ღირსებასაც გიორგი ჩაკვეტაძე და გიორგი ქვილითაია იცავენ – ვერცხლის მედლები.

ბელგიურმა პრეცედენტმა ჯაჭვური რეაქცია შეიძლება გამოიწვიოს, რადგან იგივეს აპირებს შოტლანდიის პრემიერლიგა: სეზონი ნაადრევად დასრულებულად გამოცხადდება, ხოლო სელტიკი – ქვეყნის ჩემპიონად.

უეფას პრეზიდენტმა ჩეფერინმა გერმანულ ტელეკომპანიასთან ინტერვიუში ჩემპიონთა ლიგისა და ევროპალიგის გაგრძელებისა და დასრულების შესაძლო სცენარების შესახებ ისაუბრა და ის ბოლო თარიღი დაასახელა, როცა ევროპის უმთავრესი საკლუბო ტურნირის ფინალი უნდა ჩატარდეს.

გარდა ამისა, მისი თქმით, უეფამ დაიწყო მოლაპარაკებები ბელგიის ფეხბურთის ფედერაციასთან, რომელმაც ბელგიაში სეზონი გაუქმებულად გამოაცხადა. მოლაპარაკებების საგანი ბელგიური კლუბების ევროტურნირებზე მოხვედრის საკითხია.

ალეკსანდრ ჩეფერინი:

– ეს არ არის სწორი გზა. არ შეიძლება, ჯერ დახმარება ითხოვო და მერე თვითონვე გადაწყვიტო ისე, როგორც გაწყობს. ბელგია და სხვა ქვეყნებიც, რომლებიც ასეთივე გადაწყვეტილებაზე ფიქრობენ, მიდიან რისკზე, რომ მომდევნო სეზონში მათმა კლუბებმა ევროტურნირებზე არ ითამაშონ. ცხადია, რომ ამ სეზონის დასრულების ბოლო ვადა აგვისტოა. სექტემბერში ან ოქტომბერში ჩემპიონთა ლიგისა და ევროპალიგის ფინალის ჩატარება შეუძლებელია. დარჩენილი შეხვედრების ჩატარება ტრადიციული სისტემით შეგვიძლია, მაგრამ განსხვავებულ ვარიანტსაც განვიხილავთ: შესაძლოა, ორმატჩიანი დუელის ნაცვლად, გამარჯვებულთა გამოსავლენად ნეიტრალურ მოედანზე მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩავატაროთ. ამ ყველაფერს ჯერ მხოლოდ განვიხილავთ, თუმცა ახლა საგანგებო მდგომარეობაა, ამიტომ გამორიცხული არაფერია. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგა 3 აგვისტომდე უნდა დასრულდეს. ვმუშაობთ, რათა ტურნირი მაისში, ივნისში ან ივლისში განახლდეს.

გარდა ამისა, ჩეფერინმა ფიფა გააკრიტიკა იმის გამო, რომ იგეგმება ფედერაციების, კლუბებისა და ფეხბურთელების ფინანსური დახმარება.

– ფიფაში ამბობენ, რომ დაეხმარებიან მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. გამოდის, რომ ამას ჩვენც უნდა დავეთანხმოთ და ფიფა გადაწყვეტს, ვის რამდენი ფული მისცეს. ჩემთვის ეს უცნაურია. ასე ვერავინ გააკონტროლებს, სად წავა ფული. საჭიროა კონკრეტული, გაწერილი რეგულაცია. არ შეიძლება, რომ უბრალოდ ფიფას მივანდოთ იმის გადაწყვეტა, სად რამდენი ფული წავა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ეროვნული ჩემპიონატის გაგრძელება ჩვეულ ფორმატში გამორიცხულია

მას შემდეგ, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სხვა ევროპული ქვეყნების ფედერაციებთან ერთად უეფას ვიდეოკონფერენციაში მონაწილეობდა, იგივე საშუალებით უკვე ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის კლუბებს დაუკავშირდა. შეხვედრას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა და ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის დირექტორი, შალვა გოგოლაძე ესწრებოდნენ.

ფონდის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ცნობილი გახდა, რომ კლუბებს საბაზისო დაფინანსება სრულად შეუნარჩუნდებათ. ამ საკითხის შესახებ ვიდეოკონფერენციის დასრულების შემდეგ სფფ-ის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა ისაუბრა:

– ვიდეოკონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის კლუბების ხელმძღვანელები. კონფერენციაში ასევე ჩართული იყო ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის დირექტორი, შალვა გოგოლაძე, რომელმაც დაადასტურა, რომ ამ ეტაპზე ყველა კლუბს შეუნარჩუნდება ის საბაზისო დაფინანსება, რომელიც 2020 წლის ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული.

დაფინანსების საკითხებთან ერთად მხარეებმა ეროვნული ჩემპიონატის განახლების სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. სფფ-ის გენერალურმა მდივანმა კი, კლუბებს უეფას ვიდეოკონფერენციის დეტალები გააცნო და განაცხადა, რომ დღეის მდგომარეობით 36 ტურის გამართვა შეუძლებელია და ფორმატის ცვლილება დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის განახლდება საფეხბურთო ჩემპიონატი.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. საქონლის, პროდუქციის შემოტანა საზღვარგარეთიდან; 2. ხმის სახშობი მოწყობილობა ჩასაბერ მუსიკალურ ინსტრუმენტებში; 3. ქალაქის მცხოვრებთა სახელწოდება ძველად გერმანიაში; 4. უბანი თბილისში; 5. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი, ბარჯი; 8. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 9. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 12. დიდი თევზსაჭერი გემი; 13. ხორბლის ქართული ჯიში; 16. მარტვილის ძველი სახელწოდება; 17. კერძო მეწარმე სოფლად; 19. ესპანური ავიაკომპანია; 20. საგანგებოდ გამოყვანილი დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი.

თარაზულად: 6. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი; 7. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. გულუხვი მასპინძელი; 10. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 11. ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი; 14. ანდალუზიელი ბოშების საცეკვაო სასიმღერო სტილი; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 18. უძველესი აკადემია კახეთში; 21. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. საქართველოს რაგბისტთა გუნდის მწვრთნელი; 23. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 24. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მიოპია; 2. წერილი; 3. მუშტაიდი; 4. ასკანა; 6. მანიკური; 8. ვეფხვი; 11. ბოტანიკა; 12. იოკასტე; 16. კანოე; 17. თოიძე; 18. სიგმა.

თარაზულად: 1. მარწყვი; 5. ონიმა; 7. სუფიქსი; 9. პერიგეა; 10. მარშალი; 13. ვენდეტა; 14. ჰოპერი; 15. კოხი; 19. ბაგრატი; 20. ბოტსვანა; 21. ჰეინეკენი; 22. მახათა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მალხაზი; 2. ჰეროინი; 3. ცილინდრი; 4. პუდელი; 5. ფერხული; 8. ბიბლისი; 9. მატაბელი; 12. ბერნარდი; 13. ჭინჭარი; 16. გაგრიფში; 17. გუდვილი; 19. აღლუმი; 20. მექისე.

თარაზულად: 6. ჯარაექიმი; 7. კუბდარი; 8. ბრიუგე; 10. კაოლინი; 11. წუღა; 14. კვიპროსი; 15. ქრისტინე; 18. ხაიამი; 21. ღერღედი; 22. ტენგე; 23. იანუსი; 24. ტიტესტერი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1576

ევრო — 3.4134

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8782

100 რუსული რუბლი — 4.1072

ამინდის პროგნოზი 6 აპრილისთვის

რომელუ ლუკაკუ: „მანჩესტერიდან წასვლა სწორი იყო“

მილანის ინტერის ფორვარდმა რომელუ ლუკაკუმ ინტერში ტრანსფერზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ამ გუნდში ძალიან ბედნიერია და მანჩესტერ იუნაიტედის დატოვება სწორი გადაწყვეტილება იყო:

– მანჩესტერში ცუდად არ ვიყავი, მაგრამ მიხვდი, რომ რამე ახალი მჭირდებოდა და მინდოდა, რომ ძალები სხვა გუნდში მომესინჯა. ინტერი იმიტომ ავირჩიე, რომ ვფიქრობდი, ამ გუნდს მომავალი ჰქონდა და მიხარია, რომ არ შევცდი. ვფიქრობ, წინ ბევრი თავგადასავალი გველის.

ამჟამად ლუკაკუ ინტერთან ერთად იძულებით შვებულებაში იმყოფება კორონავირუსის გამო.

კრიშტიანო რონალდუ: „მინდა, ხალხს მაქსიმალურად დავეხმარო“

პორტუგალიელმა ვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდუმ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრა და თქვა, რომ მას სურს, ხალხს მაქსიმალურად დაეხმაროს. რონალდუს თქმით მან უკვე გადარიცხა თანხა და ამაზე არ გაჩერდება:

– ამჟამად ხალხის ბედი მაღელვებს და ვისაც ბევრი ფული აქვს, ის აუცილებლად უნდა დაეხმაროს საზოგადოებას. ყველას მოვუწოდებ, ასე გააკეთოს. ყველა უნდა გაერთიანდეს იმისთვის, რომ შედეგს მივაღწიოთ და ვირუსი დავამარცხოთ.

ლაუტარო მარტინესს ბარსელონაში გადასვლა სურს



მილანის ინტერის არგენტინელ ფორვარდ ლაუტარო მარტინესს ბარსელონაში სურს გადასვლა და ის მზად არის, კატალონიელების მიერ შემოთავაზებულ საკონტრაქტო პირობებს დათანხმდეს.

მარტინესმა ინტერთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი თქვა.

ბარსელონას რამდენიმე თვეა, ლაუტაროს შეძენა სურს და ზაფხულში ის კატალონიელებისთვის მთავარი სატრანსფერო პრიორიტეტი იქნება.

ბარსელონა მზად არის, ამ ტრანსფერში 100 მილიონი გადაიხადოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ზვიგენი თვითიზოლაციის რეჟიმის დამრღვევს თავს დაესხა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა-კრუზში ზვიგენი თავს დაესხა კორონავირუსის ეპიდემიის გამო შემოღებული თვითიზოლაციის რეჟიმის დამრღვევს.

აღნიშნული თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც 15 წლის ბიჭი და გოგონა საპსერფინგით – სერფინგის ნაირსახეობით იყვნენ დაკავებულები. საპსერფინგის დროს სარგებლობენ სპეციალური სასრიალო დაფით და ნიჩაბით. მოულოდნელად მათი დაფა მკვეთრი დარტყმისგან შეტორტმანდა და ყმაწვილი წყალში გადავარდა.

ის მაშინვე ამობობღდა დაფაზე და ამ დროს ზვიგენი შენიშნა, რომელიც იმ მომენტში დაფას კბილებით იყო ჩაფრენილი.

– მაშინ მე მას თავში ჩავცხე, – განაცხადა ბიჭმა, – მთელი ამ დროის განმავლობაში ვღრიალებდი და პანიკაში ვიმყოფებოდი. შინაგანად ჩამერთო რეჟიმი „დაარტყი და გაიქეცი“.

– ზვიგენისთვის მუშტის ჩარტყმა, ვაღიარებ, საკმაოდ მაგარი იყო, – განაცხადა გოგონამ.

დარტყმის შემდეგ ზვიგენმა მათ თავი ანება და ბიჭმა და გოგონამ სასწრაფოდ ნაპირს მიაშურეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

6 აპრილისთვის

ვერძი – ფუჭი საუბრები, არასაჭირო ურთიერთობები უსიამოვნებას შეგამთხვევთ. კრიტიკული დღეა. საყიდლებზე წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ. **კურო** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. გარისკვა გაუმართლებელია. **ტყუპები** – მიღებულ შემოთავაზებას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. მეგობრებთან ურთიერთობა გაგახალისებთ. **კირჩხიბი** – ოცნება აგისრულდებათ. საქმიანი შეხვედრები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. **ლომი** – დღის ნეგატიურ ტენდენციებს თქვენი სითამამე და აქტიურობა გააქარწყლებს. ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. **ქალწული** – ემოციები აკონტროლეთ. მოთმინება და თავშეკავება უსიამოვნებას თავიდან აგაცილებთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სოციალური კონტაქტებისათვის. პირად ცხოვრებაში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები ჭარბობს. **ღრიანცალი** – საქმიანი ურთიერთობები არ გაამართლებს. გუნება-განწყობა ხშირად გეცვლებათ. **მშვილდოსანი** – კომერციულ სფეროში არ იაქტიუროთ. კარგი იქნება დასვენება და გართობა უახლოესი მეგობრების წრეში. **თხის რქა** – ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას იფრთხილეთ. ამბიციურობა და კატეგორიულობა დღეს დაგაზარალებთ. **მერწყული** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ზომიერება დაიცავით ნებისმიერი საქმიანობისას. სერიოზულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** – რეალობა ადეკვატურად მიიღეთ. ილუზიებისაგან საჩქაროდ გათავისუფლდით. ჯანმრთელობას მეტი ყურადღებით მოეკიდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

მამა შვილს ეკითხება:

– შვილო, საბავშვო ბაღში ჩხუბობთ?

– ჰო, მამიკო.

– მერე, ვინ რჩება გამარჯვებული?

– აღმზრდელი.

•••

ახლად დაქორწინებულების პირველი ღამეა. ქმარმა აბაზანა წყლით აავსო და ახლად შერთული ცოლი შიგნით ჩააწვინა და არანაირი სექსი. ასე განმეორდა მომდევნო ოთხ ღამეს. ბოლოს შეშინებული ქალი დედას ურეკავს და ეუბნება:

– დედა, უკვე ოთხი ღამეა მე და ჩემ ქმარს სექსი არ გვაქვს.

– და რას აკეთებს შენი ქმარი?

– ყოველღამე აბაზანას წყლით ავსებს და შიგნით მაწვენს. სულ ესაა!

– შვილო, უნდა მოითმინო, ის ხომ საბურავების ხელოსანია და, როგორც ჩანს, ნახვრეტს ეძებს!!!

– მერე?

– მერე ის, რომ ეცადე, წყალში რომ ჩაგაწვენს, არ გაკუო, თორემ უშვილოდ დარჩებით.

•••

კაცი სამშობიაროში მივიდა. ექიმმა ახარა:

– შეგიძლიათ იხტუნოთ, ოთხი ტყუპი შეგეძინათ.

– ეეჰ, გადავხტებოდი, მაგრამ აზრი არ აქვს, პირველი სართულია!

•••

კაცი კვდება და ცოლს ეუბნება:

– გთხოვ, სიკვდილის წინ სიმართლე მითხარი, ჩემთვის როდესმე თუ გიღალატია?

– ჰო, აბა, და რომ არ მოკვდე?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რეჟისორი რუსუდან ჭყონია „ჩემი ცოლის დაქალებს“ აკრიტიკებს



რეჟისორი რუსუდან ჭყონია ცნობილი ქართული სერიალის „ჩემი ცოლის დაქალების“ შემოქმედებით ჯგუფს აკრიტიკებს. ამის მიზეზი გაქანებულ საგანგებო მდგომარეობაში სერიალის გადაღებებია:

– ვუყურებ ფორმულაზე „ჩემი ცოლის დაქალები კარანტინში“ და ვხედავ, როგორ იღებენ სერიალს გაქანებული საგანგებო მდგომარეობის დროს!

ყოჩაღ ფორმულა! ჩააყენეთ მსახიობები, ოპერატორები, მთელი გადამღები ჯგუფი რისკის ქვეშ! რა კარგი პასუხისმგებლობით სავსე დამოკიდებულება გქონიათ თქვენს მომსახურე პერსონალთან, აბა რა, გრიშა კაკაჩია თუ არ ვნახეთ ამ საგანგებო მდგომარეობის დროს, ისე რაა მამული, ოღონდ მერე კოვზსა და ზიარებაზე ხმა არ ამოიღოთ რა, თქვენზე უარესს ნამდვილად არაფერს არ აკეთებენ...

ველოდები ახალ კლასტერს „ჩემი ცოლის დაქალების“ გადაღების დროს ინფიცირებულების. ფორმულა ასეთი უგულო, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება როგორ გაქვთ, როგორ საერთოდ პატივს არ სცემთ იმ ხალხს, ვინც თქვენთვის მუშაობს! სამი კაცის გარდა შეკრება აკრძალულია, ყველა ბიზნესი გაჩერებულია, ქვეყანა ცდილობს ებრძოლოს ეპიდემიას და წინ აღუდგეს მის გავრცელებას და ამ დროს სერიალს რომ იღებ, მაინტერესებს, ირღვევა თუ არა კანონი, როდესაც მსახიობებს საგანგებო მდგომარეობის დროს სერიალში თამაშს აიძულებთ.

გია ნიკოლაძემ მეგობრებთან ერთად კორონას სიმღერა მიუძღვნა

მომღერალმა და კომპოზიტორმა გია ნიკოლაძემ მეგობრებთან ერთად ახალ კორონავირუსს სიმღერა მიუძღვნა.

– შესანიშნავი შვიდეული კოვიდ 19-ის წინააღმდეგ! – ასე უწოდა გია ნიკოლაძემ ნამუშევარს, რომელიც პაატა გულიაშვილთან, კახა გრიგალაშვილთან, სანდრო ნიკოლაძესთან, ზუკა პაპუაშვილთან, გია დავითიანთან და გაგა გომართელთან ერთად შექმნა.

გია ნიკოლაძემ თავისი ერთ-ერთი ცნობილი სიმღერა „მიდი, მიდი მოვდივარ“ გადააკეთა, ყველას სახლში დარჩენისკენ მოუწოდა და ექიმებს და ყველა იმ ადამიანს გადაუხადა მადლობა, ვინც ამ ვირუსის დასამარცხებლად გაუჩერებლად იბრძვის.

გიორგი კეკელიძე მოხალისე გახდა

მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე მოხალისე გახდა და სოციალურად დაუცველ და გაჭირვებულ ოჯახებს საკვები პროდუქტით დაეხმარება:

– მოხალისეობა დავიწყეთ. ყოველ კვირას, ჩემს მეგობრებთან ერთად, გურიაში ჩავალ და სამ სოციალურად დაუცველ ოჯახს დავეხმარებით საკვები პროდუქტებით და პირველადი საჭიროების პროდუქციით. ამ საქმეს გურული დღიურების ფონდის დახმარებით გავაკეთებ და ცხადია, საკუთარ დანაზოგსაც აქეთ მივმართავ. ბუნებრივია, რომ ამ ადამიანების ფოტოებს არ გაჩვენებთ, მაგრამ მერწმუნეთ მათ ახლა ძალიან, ძალიან უჭირთ.

ერთი მათგანი, მცირეწლოვნების დედა, მაღაზიაში ნისიის სათხოვნელად იყო წასული და აივნიდან ბავშვებმა გადმოგვხედეს. მე კიდევ ამ ხალხისგან ყველაზე დიდი და დაუბრუნებელი „ნისია“ მაქვს აღებული, ამ მხარეში გავიზარდე და ჩემი ვალია მცირედით მაინც შევიმსუბუქო ეს ტვირთი.

მოხალისეობას დაავადებათა ცენტრის ინსტრუქტაჟით მივყვებით, სრული ეკიპირებით ვართ და ფუთებს შესაბამის ადგილას ვუტოვებთ. დედაჩემიც არ მინახავს და ვერც ვნახავ, სანამ ეს საფრთხეა. ყველაფერს მალე დავძლევთ, მაგრამ დავძლევთ ერთად!

მონიკა ბელუჩიმ ქეთი ჩხიკვაძის სამოსში იპოზირა

ცნობილმა მოდელმა და მსახიობმა მონიკა ბელუჩიმ ქართველი დიზაინერის ქეთი ჩხიკვაძის სამოსში იპოზირა.

მონიკა ბელუჩი ჟურნალ „ჰარპერს ბაზარის“ ყაზახეთის გამოცემის ახალი ნომრის ყდაზე დაბეჭდეს. დაგეგმილ ფოტოსესიაზე ის ქართველი დიზაინერის ორიგინალურ კოსტიუმში გამოწყობილი გამოცხადდა.

„ჰარპერს ბაზარის“ ყაზახეთის გამოცემის ახალი ყდა უკვე მზად არის და ინტერნეტშიც გავრცელდა. ულამაზეს მონიკა ბელუჩისთან ერთად ქეთი ჩხიკვაძის სამოსმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ნიკოლოზ წულუკიძემ ცნობილი ქართველები გააერთიანა

თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძემ სხვადასხვა სფეროში ცნობილი ქართველები გააერთიანა და ისინი გადაცემა „ავტოგრაფში“ შეკრიბა.

6 აპრილს „იმედის“ ეთერში პირველი გადაცემა გავა, რომლის რეჟისორიც ბაკურ ბაკურაძეა:

– თვითიზოლაციის და კარანტინის პირობებში, როგორც ვატყობ, ყველაზე კარგი გასართობი წიგნი, ტელევიზია და ინტერნეტია. ხოდა, ალბათ განგებამაც ისე ინება, რომ ამ სივრცეში ჩემს ბოლოდროინდელ პასიურობას ერთი ჩემთვის უმნიშვნელოვანესი და, დიდი იმედი მაქვს, თქვენთვისაც სასიამოვნო მიზეზი ჰქონდა: ტელეკომპანია „იმედმა“ თვენახევრის წინ ფართოდ გამიღო კარი და მომცა საშუალება მე და ჩემს შემოქმედებით ჯგუფს, დაგვეწყო და ამ რთულ და, ფაქტობრივად, ექსტრემალურ ვითარებაში დაგვესრულებინა ახალი თოქშოუ სახელწოდებით „ავტოგრაფი“. ჩვენი პროექტის მიზანია, ყველა თაობის მაყურებელს მიანიჭოს ღირსეულ პიროვნებებთან შეხვედრის სიამოვნება, გაუხანგრძლივოს ღირებულ თემებთან შეხების განცდა და ამით ფასეული გახადოს მათი ეკრანთან გატარებული დრო.

„ავტოგრაფი“ აპრილიდან გელოდებათ „იმედზე“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ამერიკული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 2. ავტორიტეტი, გავლენა; 3. ისტორიული სასტუმრო პარიზში; 5. სარეცხი მანქანის გამომგონებელი ამერიკელი ინჟინერი; 6. მტკვრის მარჯვენა შენაკადი ქვემო ქართლში; 7. კვიპროსის დედაქალაქი; 11. სპორტული საფარიკაო იარაღი; 13. გურიასა და აჭარაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 14. ვაშლის ღვინო; 15. ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 16. ჩინური ლოგიკური მაგიდის სათამაშო; 17. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ; 19. ფილოსოფიური მოძღვრება მორალისა და ზნეობის შესახებ; 20. თხუნელას მეორე სახელწოდება.

თარაზულად: 1. ძველებური პირფართე ისარი; 4. მემკვიდრეობითი ტიტული ევროპაში; 8. ფუტკრის მიერ გამომუშავებული მოყვითალო ფერის ნივთიერება; 9. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 10. კონსტრუქცია, რომელიც მეთოჯინე მსახიობებს მაყურებლებისგან ყოფს; 12. უღელტეხილი კახეთში; 14. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 15. ქართული ტელეკომპანია; 16. დელაკრუას ცნობილი ფერწერული ტილო; 18. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 21. ვირტუოზი ბელგიელი მევიოლინე მამაკაცი; 22. ტემპერატურის საზომი ერთეული; 23. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა